პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 27 იანვარი, 1952 წ. № 23 (9183). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

საკოლმეურნეო მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილებისათვის—მოწინავე (1-ლი გვერდი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში—საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ბრაზილიელ მწერალ ქორჯი ამადუს (1-ლი გვერდი).

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა — მოწინავეთა გამოცდილების ტრიბუნა (მე-3 გვერდი).

გ. მერკვილაძე — ეპოქის შესანიშნავი ძეგლი. (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — [illegible] დებითი წინსვლა (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის განცხადება (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# საკოლმეურნეო მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილებისათვის

კოლმეურნეობები აჯამებენ გასული წლის შედეგებს და ემზადებიან ნატურალური და ფულადი შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით ახალი წარმატებანი მოიპოვეს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

გასულ წელს მნიშვნელოვნად გადიდდა საქართველოს კოლმეურნეობათა წარმოების ძირითადი საშუალებანი და განუყოფელი ფონდები. ამასთან შესამჩნევად გაიზარდა საკოლმეურნეო შრომადღის ღირებულება, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. გორის რაიონის სოფელ ქახვრელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გასული წლის შედეგების მიხედვით კოლმეურნე შრომადღეზე მიიღებს 12 კილოგრამ მარცვლეულს, 2,5 კილოგრამ ბოსტნეულსა და ლობიოს, 200 გრამ შაქარს და ფულად 10 მანეთს. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჰილოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ნატურალური შემოსავლის ჩაუთვლელად შრომადღის ანაზღაურება 35 მანეთზე მეტს შეადგენს. ასეთი მაგალითი ბევრია.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილება ბრიგადის მიერ მოყვანილი, ხოლო ბრიგადებში—რგოლების მიერ მოყვანილი მოსავლის გათვალისწინებით. ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 1950 წელს მოსავლიანობის დაწესებული გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მოწინავე ბრიგადებისა და რგოლების წევრებმა დამატებითი ანაზღაურების სახით 186.000 მანეთი მიიღეს. მაგრამ გარდაბნის, საგარეჯოს, ადიგენის, ასპინძის, ცხაკაიას, ქობულეთის, ოჩამჩირის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის განაწილების საქმეში დაუშვეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა.

არსებული მასალები მოწმობენ, რომ ზოგან არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან შემოსავლის განაწილებისათვის, ბოლშევიკური შეუპოვრობით არ იბრძვიან კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, შრომადღის ღირებულების გადიდებისათვის. მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში უკანონო და გაბერილი ხარჯებით ამცირებენ შრომადღის ხვედრს. აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობაში შრომადღეების ხარჯვაზე დაწესებული არ არის კონტროლი, ანიავებენ საკოლმეურნეო ქონებას. ხაშურის რაიონის სოფელ ტეზრის კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია აღრიცხვა და ანგარიშგება, ზოგიერთი სახის სამუშაოს შესრულებისათვის მთელ რიგ კოლმეურნეებს შრომადღეები გასული წლის ბოლოსაც არ ჰქონდათ დარიცხული.

ცალკეულ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი გროვად მუშაობა და გათანაბრება შრომის ანაზღაურებაში. ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგიცაა, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად განხორციელებისათვის. აუცილებელია სწრაფად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და უზრუნველვყოთ მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილება ისე, როგორც ამას მოითხოვენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი.

საჭიროა დავაჩქაროთ კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების შედგენა 1951 წლისათვის, მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩავატაროთ კოლმეურნეობებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები. შემოსავლის განაწილების საკითხს კოლმეურნეთა საერთო კრება წყვეტს. განხილული და კრებას მიერ დამტკიცებული წლიური ანგარიში განსაზღვრავს კოლმეურნეობის ყველა საზოგადოებრივი ფონდის ოდენობას, შრომადღეებზე გასანაწილებელ ფულად და ნატურალურ შემოსავალს და წარმოადგენს საფუძველს შრომადღეების მიხედვით საკოლმეურნეო შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის.

განაწილების წინ უნდა დაზუსტდეს დახარჯული შრომადღეები, ბრიგადებისა და რგოლებისათვის დამატებით დასარიცხი და ჩამოსაწერი შრომადღეები, სათანადოდ მოწესრიგდეს აღრიცხვა და ანგარიშგება. კოლმეურნეობათა გამგეობები და სარევიზიო კომისიები ვალდებული არიან დააწესონ სასტიკი კონტროლი შრომადღეების დარიცხვის სისწორისადმი და შემოსავლის განაწილების წინ შეადარონ დარიცხული შრომადღეების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმით გათვალისწინებული შრომადღეების რაოდენობას.

მტკიცედ უნდა დავიცვათ შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებში შემოსავალი განაწილდეს ბრიგადის მიერ მოყვანილი, ხოლო ბრიგადებში რგოლების მიერ მოყვანილი მოსავლის გათვალისწინებით ისე, რომ იმ ბრიგადებისა და რგოლების წევრებმა, რომლებმაც უფრო დიდი მოსავალი მოიყვანეს, შესაბამისად უფრო მაღალი ანაზღაურება მიიღონ.

მეცხოველეობაში მომუშავე კოლმეურნეებს შრომა უნდა აუნაზღაურდეთ მათ მიერ მიღებული რძის, მატყლის, მოზარდეულის გამოზრდის, მუშა და პროდუქტიული პირუტყვის ცოცხალი წონის მატებისა და ნასუქობის მიხედვით.

კოლმეურნეობათა სიძლიერის, კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების საფუძველი საზოგადოებრივი მეურნეობაა. ზრუნვა ამ მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის სოფლის მშრომელთა უპირველესი მოვალეობაა. აუცილებელია მოსავლისა და შემოსავლის განაწილებამდე თვითეულმა კოლმეურნეობამ უზრუნველყოს ყველა ვალდებულების შესრულება საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე და სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების შესაბამისად შექმნას სათესლე, საფურაჟე, სადაზღვევო, გარდამავალი სათესლე და სხვა საზოგადოებრივი ფონდები იმ ოდენობით, რაც საჭიროა საზოგადოებრივი მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის.

ამასთანავე საჭიროა კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდების შევსება იმ რაოდენობით, როგორც ამას მოითხოვს საკოლმეურნეო წესდება.

მიზანშეწონილია კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გამოიყოს გასასყიდად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაწილი, რაც გაადიდებს კოლმეურნეთა ფულად შემოსავალს.

ფულადი და ნატურალური შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში მნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი 1933 წელს დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო პირველ ყრილობაზე ამბობდა: **„თქვენი მხრით საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — იშრომოთ პატიოსნად, გაანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი შრომის მიხედვით, გაუფრთხილდეთ საკოლმეურნეო დოვლათს, გაუფრთხილდეთ ტრაქტორებსა და მანქანებს, კარგად მოუაროთ ცხენს, შეასრულოთ თქვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დავალებანი, განამტკიცოთ კოლმეურნეობანი...“**

ახლა, როცა ლენინ-სტალინის პარტიის მიერ დასახულია ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შემდგომი მნიშვნელოვანი ამაღლების ამოცანა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას, საკოლმეურნეო საკუთრების დაცვას. მოსავლისა და შემოსავლის დროულად და სწორად განაწილება ხელს შეუწყობს ამ საპატიო ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ამხ. ვ. ა. ზორინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ პოსტზე ჩვენი ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით ამხ. ვალერიან ალექსანდრეს-ძე ზორინი დაჯილდოებულ იქნეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1952 წლის 25 იანვარი.

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

# საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ბრაზილიელ მწერალ ქორჯი ამადუს

გუშინ კრემლში, სვერდლოვის დარბაზში, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ცნობილ ბრაზილიელ მწერალს, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის აქტიურ მებრძოლს ქორჯი ამადუს.

დღის 2 საათისათვის დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების — მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, საბჭოთა მწერლების კავშირის, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის, პროფკავშირების წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის არიან გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, საბჭოთა ხელოვნების მოღვაწენი, წარმოების ნოვატორები.

დარბაზში ქორჯი ამადუს გამოჩენას დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა ქორჯი ამადუს გადასცა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს სამკერდე მედალი. დიპლომში რუსულ და პორტუგალიურ ენებზე წერია, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ქორჯი ამადუს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია.

აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა მოკლე სიტყვით მიულოცა ქორჯი ამადუს მაღალი ჯილდო.

პრემიის მიღებისას ქორჯი ამადუმ წარმოთქვა მღელვარე სიტყვა, რომელიც დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა, საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანმა ა. ვ. სოფრონოვმა და საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ქ. პ. ორლოვმა, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ ლაურეატს.

## ქორჯი ამადუს სიტყვა

**ბატონო თავმჯდომარევ! ძვირფასო მეგობრებო!**

ზღვებსა და მთებს იქით, დედამიწის მეორე მხარეს, ჩემს შორეულ ქვეყანაში მილიონობით ადამიანს სწყურია მშვიდობა და იბრძვის მშვიდობისათვის. იოლი როდია ამ ბრძოლის პირობები. მშვიდობისადმი მისწრაფება, რაც ესოდენ ტრადიციულია ბრაზილიელი ხალხისათვის, წინააღმდეგობას აწყდება და მას სდევნიან ისინი, ვინც მიემხრო ომის გამჩაღებლებს, ვისაც სურს ჩემს სამშობლოში გლოვა, ტანჯვა და სიკვდილი გაამეფოს. მილიონობით ბრაზილიელის, ჩემი ხალხის დიდი უმრავლესობის სახელით მადლობას გიძღვნით და ვიღებ მშვიდობის საერთაშორისო სტალინურ პრემიას, შეგნებული მაქვს რა ის დიდი პატივი და უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მე მეკისრება.

დარწმუნებული ვარ, რომ ყველგან ჩემს თვალუწვდენ სამშობლოში—ატლანტიკის ოკეანეს სანაპიროზე, შორეულ, თითქმის უდაბურ, შიდა რაიონებში, დიდი მდინარეების პირას, უსაზღვრო ველებზე—ბრაზილიელი პატრიოტები, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები და უბრალო ადამიანები, რომლებიც ჩემი ქვეყნის სისხლსა და ხორცს შეადგენენ, გაიხარებენ და იამაყებენ ამ პრემიით. მე დიდი პატივი მხვდა, როცა ამ პრემიას ვიღებ ჩემი ხალხის სახელით. ბრაზილიელი ხალხის ეს დამსახურება გამოხმაურებას პოულობს მშვიდობისა და სიხარულის დიდ ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში. კაცობრიობის ბედნიერების ბრძენი შემოქმედის დიდი სახელი, გენერალისიმუს იოსებ სტალინის სახელი განსაკუთრებით დიდ აზრს აძლევს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო პრემიას. ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხს, ბრაზილიელ ხალხსაც უყვარს საბჭოთა კავშირი, მან იცის, რომ ფაშიზმზე გამარჯვებას იგი უნდა უმადლოდეს საბჭოთა ადამიანებს. ეს მომავლის გამარჯვებაა წარსულზე, ბედნიერების გამარჯვებაა ტანჯვაზე, მშვიდობის გამარჯვებაა ომზე. ბრაზილიელ ხალხს უყვარს გენერალისიმუსი სტალინი და მისი საქმე: მან იცის, რომ სტალინის ხელით შექმნილია ძმობის, სიუხვისა და სიმშვენიერის ეს ახალი სამყარო—დიდი საბჭოთა კავშირი. სტალინის ხელმძღვანელობით ცივილიზაციამ დაამარცხა ნაცისტური ბარბაროსობა. სტალინის გენია ანათებს მშვიდობის გზებს.

მშვიდობისათვის ბრძოლაში ბრაზილიელი ხალხი საბჭოთა ხალხთან ერთად არის. მშვიდობის სურვილი, რამაც აღავსო თქვენი გული, მშვიდობისა, რაც საჭიროა კომუნიზმის დიად მშენებლობათა განსახორციელებლად, აგრეთვე ბრაზილიელი ხალხის ყველაზე მხურვალე სურვილია. ჩვენ გვესაჭიროება მშვიდობა ჩვენი სამშობლოს პროგრესისათვის, მშვიდობა—რათა გავხსნათ სკოლები, ვაშენოთ საავადმყოფოები, მშვიდობა — რათა თავისუფლად ვისუნთქოთ. არ არის ისეთი პატიოსანი ბრაზილიელი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და თავისი კერა, რომ მშვიდობა არა სურდეს. ეს არა მარტო ის მილიონობით ადამიანია, რომლებმაც ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის მოწოდებას და ამჟამად ხელს აწერენ მიმართვას, რომელიც მშვიდობის პაქტის დადებას მოითხოვს, არამედ ყველა ისიც, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლო ხელი მოეწერა ხალხთა დიადი მიმართვისათვის. ახლანდელ საერთაშორისო მოვლენათა წინაშე, ახალი ომის საფრთხის წინაშე, რაც ჩრდილს აყენებს ჩემი ქვეყნის ცხოვრებას, მშვიდობას წყურვილი მშვიდობის დაცვის ფართო მოღვაწეობად იქცევა.

ომის გამჩაღებლებს, რომელთა ზურგშიც ჩვენ აღმოვჩნდით გეოგრაფიული პირობების გამო, ბრაზილიის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი პოზიციები უკავიათ. ისინი ჩაგრავენ ჩვენს ხალხს. მიუხედავად ამისა, საფრთხით გამოღვიძებული ხალხის ძალა იარაღისა და აღვირახსნილი ტერორის ძალაზე უფრო მტკიცეა. უკვე წელიწადზე მეტია დოლარისა და ატომური ბომბის პატრონები გააფთრებით მოითხოვენ ბრაზილიელი ახალგაზრდობის შერეკვას მკვლელთა ლეგიონებში, რათა იგი გახდეს კორეაში ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალისტების დანაშაულობათა თანამონაწილე. ჩვენს ჯარისკაცებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ გულადობა და პატრიოტიზმი, როცა მათ უხდებოდათ იარაღის აღება, რათა დაეცვათ სამშობლოს დამოუკიდებლობა. მაგრამ არც ბრაზილიელ ჯარისკაცებს, არც ბრაზილიელ ხალხს არა აქვს მიდრეკილება დანაშაულობისადმი, მკვლელობისა და ძარცვისადმი, სხვა ხალხების წინააღმდეგ აგრესიისადმი. ბრაზილიელი ხალხი იმდენად დარაზმული აღმოჩნდა, რომ უარყო ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნები, იგი უარს ამბობს კორეის ომში მონაწილეობაზე. დღევანდელ მომენტამდე არც ერთი ბრაზილიელი ჯარისკაცი არ არის გაგზავნილი კორეაში, და დარწმუნებული ვარ, რომ არც იქნება გაგზავნილი, მიუხედავად უცხოეთის უხეში ზეგავლენისა, რასაც ხალხი უპასუხებს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების მოთხოვნით. ოთხ მილიონამდე ბრაზილიელმა უკვე მოაწერა ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას.

ბრაზილიელ ხალხს სძულს ომი, მან იმას მიაღწია, რომ ბრაზილიის კონსტიტუციებში, როგორც წარსულში, ისე ახლა მოქმედში, დაგმობილია ყოველგვარი აგრესიული ომი, და იგი ვერ შეურიგდება აზრს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის შესახებ. სამხედრო პროპაგანდის საზარელ მანქანას, რომელიც შექმნილია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცილისწამებისათვის, რათა იგი წარმოგვიდგინოს როგორც საფრთხე ხალხთა დამოუკიდებლობისათვის, არ ძალუძს დაუპირდაპირდეს სიმართლეს, რომელიც ცხადია ჩემი ხალხისათვის. ვინ გვიწევს ექსპლოატაციას და გვამცირებს, ვის მივყავართ სიღატაკემდე, ვინ ცდილობს გადააქციოს ჩვენი ქვეყანა კოლონიად, ვინ ძარცვავს ჩვენს სიმდიდრეს, ვინ მოახდინა ჩვენი სამხედრო ბაზების ოკუპაცია, ვინ გვიკარნახებს სამხედრო ბიუჯეტებს, პირში ლუკმას აცლის ჩვენს ბავშვებს, ვინ დააქვეითა ჩვენი კულტურა, ვინ სპობს ჩვენს თავისუფლებას, ვინ ემუქრება ჩვენს დამოუკიდებლობას? ვის სურს ჩვენი ჯარისკაცების მეთაური იყოს, ვინ გვახვევს თავს თავის კანონებს, თავის ცხოვრების წესს, თავის რასისტულ ცრურწმენებს? განა ეს საბჭოთა კავშირია? განა ეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნები არიან? ჩვენმა ხალხმა იცის, რომ სოციალიზმის სამშობლო არ ემუქრება ჩვენს ცივილიზაციასა და ჩვენს კულტურას. ხალხი, იგი ხომ ბრმა არ არის, საკუთარი თვალით ხედავს სიმართლეს. იგი ხედავს ჩვენი სამშობლოს მზარდ ოკუპაციას იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ბრალს სდებენ სსრ კავშირს და გვთავაზობენ ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ. არც ერთ პატიოსან ბრაზილიელ პატრიოტს არ შეუძლია, თუ მას საღი გონება აქვს, ბრალად დასდოს საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, რომ ისინი თუნდაც ოდნავ ემუქრებოდნენ ბრაზილიის უშიშროებას. ამის საწინააღმდეგოდ მილიონობით ბრაზილიელისათვის სულ უფრო აშკარა ხდება ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ჩვენს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

პროპაგანდისა და ცილისწამების მანქანა, რომელსაც ომის გამჩაღებლები მართავენ, ცდილობს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა წარმოადგინოს როგორც სსრ კავშირის დაცვის მოძრაობა. მაგრამ ხალხებს ახსოვთ ამასწინანდელი მოვლენები და იციან, რომ საბჭოთა კავშირი, ქედმაღალი ნაციზმის სახელოვანი მძლეველი, საკმაოდ ძლიერია, რათა თვითონ დაიცვას თავი იმ შემთხვევაში, თუ მტრები თავიანთი უგუნურებით თავს დაესხმიან მას. სსრ კავშირს მოეპოვება საკმაო ძალა, რათა დაიცვას თავი და დაამარცხოს მტრები. ხალხებმა იციან, რომ, სამხედრო პროპაგანდის მტკიცების საწინააღმდეგოდ, საბჭოთა კავშირი ყველა სხვა ხალხთან ერთად იცავს მშვიდობას მთელ მსოფლიოში, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და უშიშროების ბურჯია. ბრაზილიელმა ხალხმა იცის, რომ გენერალისიმუსი სტალინი მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეა, მშვიდობისათვის ყველაზე მგზნებარე მებრძოლია.

გულის სიღრმემდე აღფრთოვანებული, მე ფიქრებით მივმართავ ჩემი სამშობლოს და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მწერლებს. მათ უნდა გაიზიარონ ჩემთან ერთად ის დიდი პატივი, რაც წილად მხვდა, რადგან ისინი, კულტურის შემოქმედნი, თავიანთი კალმით ემსახურებიან ადამიანების მშვიდობისა და ურთიერთგაგების საქმეს. ზოგიერთ მათგანს ხალხისადმი ერთგულებისათვის საპყრობილეში სვამენ, როგორც, მაგალითად, არგენტინელ რომანისტ ალფრედო ვარელას, ზოგს მრავალი წლის პატიმრობა მიუსაჯეს როგორც ბრაზილიელ რომანისტ პედრო მოტა ლიმას. ჩემი, როგორც მწერლის შრომა მხოლოდ ნაწილია ჩემი სამშობლოს და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ყველა პატიოსანი მწერლის საერთო შემოქმედებისა, რომლებიც მსოფლიოს პროგრესულ კულტურას ქმნიან.

მე აღმაფრთოვანებს ჩემი ხალხის გამარჯვებისადმი მხურვალე რწმენა, ხალხისა, რომელიც უშიშრად იცავს მშვიდობას და სამშობლოს სუვერენიტეტს. ვფიქრობ მშვიდობის ბრაზილიელ მომხრეებზე, რომლებსაც, მიუხედავად ყველა სიძნელისა, სიმართლე შეაქვთ ხალხის ფართო მასებში; ვფიქრობ ჭაბუკებზე, რომლებიც გულისწყრომით ამბობენ უარს კორეაში გამგზავრებაზე; ვფიქრობ გმირ ბრაზილიელ ქალებზე, რომლებსაც არ აშინებთ არც დევნა, არც საპყრობილე; ვფიქრობ მუშებზე, რომლებსაც მაღლა უჭირავთ მშვიდობის დროშა; ვფიქრობ ყველა ბრაზილიელზე, რომლებიც მშვიდობას ესწრაფვიან, და მსურს ყველა მათ გავაგებინო ამ მომენტის სიდიადე. დაე გამიგონოს ყველამ, განურჩევლად პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა, ნება მიბოძეთ აგრეთვე ფიქრით მივმართო სულითა და გულით იმ ადამიანს, რომელიც მუდამ ხელმძღვანელობს ბრძოლას და აშენებს მომავალს, რომელმაც მასწავლა მშვიდობისა და საბჭოთა კავშირის, ლენინისა და სტალინის სიყვარული; იგი ჩემი ხალხის იმედია. მისი სახელია ლუის კარლოს პრესტესი.

მე დიდი პატივი მხვდა წილად, და მსურს მშვიდობისმოყვარე ბრაზილიელი ხალხის სახელით მადლობა გადავუხადო საბჭოთა ხალხს, მის ბელადსა და მასწავლებელს, ბრძენ სტალინს განუწყვეტელი და თავდადებული ბრძოლისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის. მშვიდობის საქმე ადამიანის სასიცოცხლო საქმეა, და ჩვენ გავიმარჯვებთ ამ ბრძოლაში. **გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!**

## მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

24 იანვარს გრძელდებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენარული სხდომა.

განხილულ იქნა მეცნიერული შრომები, რომლებიც წარმოდგენილია 1951 წლის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად. მოხსენებები გააკეთეს კომიტეტის სექციების ხელმძღვანელებმა.

ცალკე განიხილეს სტალინური პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი უმაღლესი და საშუალო სკოლის სხვადასხვა დისციპლინის სახელმძღვანელოები. სულ წარმოდგენილია 150 სახელმძღვანელო. კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ გასულ წელს მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიქმნა ძვირფასი სახელმძღვანელოები, რომლებშიც განზოგადებულია მეცნიერების სხვადასხვა დარგში დაგროვებული ცოდნა. (საქდესი).

## ნაზიმ ჰიქმეთის დაბადების 50 წლისთავი

დედაქალაქის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი თურქი პოეტის, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის ნაზიმ ჰიქმეთის დაბადების 50 წლისთავი.

24 იანვარს ორი ათასამდე კაცი დაესწრო პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში იუბილარისადმი მიძღვნილ საღამოს.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ქ. სიმონოვმა. მან ნაზიმ ჰიქმეთს უსურვა ახალი წარმატებანი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მის კეთილშობილურ ბრძოლაში, რაც პოეტის მთელი ცხოვრების შინაარსს წარმოადგენს.

მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის მწერლები, აგრეთვე უცხოელი სტუმრები.

წაკითხულ იქნა ჰიქმეთის ნაწარმოებთა თარგმანები და საბჭოთა პოეტების ლექსები ჰიქმეთის შესახებ.

დასასრულ გამოვიდა ნაზიმ ჰიქმეთი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან მადლობა გადაუხადა დამსწრეთ მეგობრული სურვილებისათვის და უამბო, თუ რაოდენ უყვართ თურქეთის უბრალო ადამიანებს დიდი საბჭოთა ხალხი, მშრომელთა გენიალური ბელადი ამხანაგი სტალინი.

— საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული უნდა იყვნენ, — თქვა მან, — რომ თურქი ხალხი არასოდეს არ აიღებს იარაღს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, როგორც უნდა სურდეთ ეს ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებლებს. (საქდესი).

## აბრეშუმის ქსოვილები გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური საასორტიმენტო კაბინეტის დარბაზებში 24 იანვარს დაიწყო გაზაფხულ-ზაფხულის ასორტიმენტის აბრეშუმის ქსოვილების გასინჯვა. სტენდებზეა უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთის, ლატვიის, ლიტვისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების აბრეშუმის მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის 2.000 ნიმუში. ფართოდ არის წარმოდგენილი ბუნებრივი და ხელოვნური აბრეშუმის სხვადასხვა ქსოვილი.

გასინჯვა გახსნა აბრეშუმის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. დმიტრიევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რესპუბლიკათა აბრეშუმის მრეწველობის საწარმოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ქსოვილების მხატვრული გაფორმებისა და გამოყვანის გასაუმჯობესებლად. წელს გათვალისწინებულია უფრო გაფართოვდეს აბრეშუმის ქსოვილების წარმოება და გაუმჯობესდეს მათი ხარისხი.

ლამაზი მხატვრული გაფორმებითა და ნაირნაირი ასორტიმენტით გამოირჩევა ფაბრიკა „რიგას-აუდუმსის“ (ლატვიის სსრ), ფაბრიკა „კაუნო აუდინიაის“ (ლიტვის სსრ) პროდუქცია. ქსოვილების ბევრი ჩინებული ნიმუში წარადგინა თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ. ამ საწარმოში, ერევნის შაუმიანის სახელობის ფაბრიკასა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში ახალი ნახატების შექმნის დროს ფართოდ გამოყენებულია ეროვნული ორნამენტები.

სამარყანდის ფაბრიკამ გასასინჯავად წარადგინა ჩესუჩა, აბრეშუმის მუარის გადასაფარებლები და ლამაზად გაფორმებული ქსოვილები, რომლებზეც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა.

დარნიცის კომბინატმა (უკრაინის სსრ) წარადგინა საკაბე ქსოვილები, ვიტებსკის კომბინატმა —ორიგინალურად გამოყვანილი პლუშის ახალი სახე.

ყურადღებას იპყრობს ლენინაბადის, მარგელანის, ოშისა და ნუხის აბრეშუმის კომბინატების ლამაზად გაფორმებული ქსოვილები.

გასინჯვაში მონაწილეობას იღებენ მრეწველობის, სავაჭრო და გამსაღებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხატვრები. საუკეთესო ნიმუშებს გადაარჩევენ 1952 წლის გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის მასობრივ წარმოებაში დასანერგავად. (საქდესი).

# თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

ამ დღეებში შედგა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ზედგინიძემ.**

კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

მოხსენება „სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ" გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. ჩარკვიანმა.**

ამხ. ჩარკვიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, გაფლანგვათა და მტაცებლობის სრული ლიკვიდაციისათვის ბრძოლის გადაჭრით გაძლიერება პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

პარტია და მთავრობა მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ სოციალისტური საკუთრების — საბჭოთა წყობილების საფუძვლის დაცვის საქმეს. საბჭოთა კანონები თავიანთი მახვილით მიმართულია პირველ რიგში საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებელთა წინააღმდეგ.

გაფლანგვა-მტაცებლობასთან ბრძოლაში პარტიული ორგანიზაციები განუხრელად უნდა ხელმძღვანელობდნენ ამხანაგ სტალინის მითითებით, რომ „ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, ბრძოლა ყველა ღონისძიებით და საშუალებით, რომელსაც გვაძლევენ საბჭოთა ხელისუფლების კანონები, — პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს".

მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სოციალისტური საკუთრების დაცვის დარგში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

სოციალისტური საკუთრების დაცვის დარგში განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სავაჭრო ორგანიზაციებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. სახალხო მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს მტაცებლობის ფაქტები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში. ეს იმის შედეგია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო წარმატებებით გატაცების გამო, შეასუსტეს ყურადღება მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებისადმი.

არკვევს რა გაფლანგვა-მტაცებლობის გამომწვევ მიზეზებს, ამხ. ჩარკვიანი ამბობს, რომ ეს მეტწილად ხდება იქ, სადაც ირღვევა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის, რევიზიების მოხდენის, სამუშაოზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიღების კანონით დადგენილი წესი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა გადაჭრით და საბოლოოდ აღმოიფხვრას მექრთამეობა — ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო მოვლენა, რომელიც ჩვენში შემორჩენილია, როგორც ძველი წყობილების ნაშთი.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება და დახმარება სახელმწიფო ორგანოებისადმი, რომლებიც მოწოდებული არიან იბრძოლონ სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის.

სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, მექრთამეთა და გამფლანგველთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა, მათი ულმობლად დასჯა შეხამებულ უნდა იქნას მშრომელთა შორის ფართო პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობასთან.

თუ არ იქნა ქურდობისა და მექრთამეობის, როგორც საბჭოთა პირობებში სამარცხვინო და შეუწყნარებელი მოვლენის, საზოგადოებრივი გაკიცხვა, არ შეიძლება ბოლო მოეღოს ამ დანაშაულობებს. სასამართლოს მკაცრი განაჩენის გარდა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, „აქ საჭიროა სხვა ღონისძიება, უფრო საიმედო და უფრო სერიოზული. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ, შეიქმნას ასეთი ქურდბაცაცების ირგვლივ საერთო მორალური ბოიკოტისა და გარშემო მყოფი საზოგადოების სიძულვილის ატმოსფერო. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ გაჩაღდეს ისეთი კამპანია და შეიქმნას ისეთი მორალური ატმოსფერო მუშებსა და გლეხებს შორის, რომელიც მოსპობდა ქურდობის შესაძლებლობას, შეუძლებელს გახდიდა სახალხო დოვლათის დამტაცებლებისა და ქურდების ცხოვრებასა და არსებობას".

უკანასკნელ ხანს პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ბრძოლა მექრთამეობასთან, მტაცებლობასა და გაფლანგვასთან, იღებენ უფრო ქმედითს ღონისძიებებს დამნაშავეთა მხილებისა და დასჯისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შორის. მაგრამ ამ მიმართულებით ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში, ამ მუშაობაში ჩავაბათ მოსახლეობის ყველა ფენა, განუწყვეტლივ ვუნერგავდეთ ხალხს სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობას.

სოციალისტური საკუთრების დაცვასა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებასთან დაკავშირებული ამოცანების წარმატებით გადაჭრის უმნიშვნელოვანესი პირობაა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა.

პარტიული და საბჭოთა მუშაკების მთელი საქმიანობა, თვითეული კომუნისტის, ყველა საბჭოთა ადამიანის მუშაობა უნდა ექვემდებარებოდეს საბჭოთა საზოგადოების ინტერესებს, ჩვენი დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს.

ამთავრებს რა თავის მოხსენებას, ამხ. ჩარკვიანი ამბობს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია — ბოლშევიკების დიადი პარტიის ერთგული რაზმი, ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, — ბოლშევიკურად დასძლევს მის წინაშე მდგომ ყველა ამოცანას.

მოხსენების გამო გამართული კამათის მონაწილეებმა მოიყვანეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სერიოზულ ნაკლოვანებებს სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში, ილაპარაკეს ამ დარგში პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების, საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებელთა და საბჭოთა კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

პარტიის სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. **გ. ცქიტიშვილი** შეეხო საფინანსო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რაიონის მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციებში — „საქმახტმშენის" სამმართველოს თბილისის სამშენებლო კანტორაში, ავტოსატრანსპორტო კანტორაში, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებში. ამას ხელს უწყობდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტება, სრულიად არასაკმარისი ბრძოლა სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. უკანასკნელ ხანს პარტიის რაიკომმა ამ მნიშვნელოვან საქმეში ერთგვარ გარდატეხას მიაღწია, საწარმოებსა და დაწესებულებებში მოეწყო მთელი რიგი ლექციები, მოხსენებები და საუბრები სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ, საბჭოთა კანონიერების დაცვისათვის ბრძოლის შესახებ.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. **ი. მონიავამ** აღიარა მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობა კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობაში და ილაპარაკა გაფლანგვა-მტაცებლობის აღმოსაფხვრელად უკანასკნელ ხანს მიღებულ ღონისძიებებზე.

თბილვაჭრობის დირექტორმა ამხ. **პ. კილასონიამ** ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება თბილვაჭრობის სისტემაში სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერებლად, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა კადრების შერჩევაზე, აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების მტკიცედ შესრულების აუცილებლობაზე, სავაჭრო აპარატის ყველა რგოლის მუშაობისადმი ყოველდღიურ სასტიკ კონტროლზე. მან გააკრიტიკა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც შემარიგებლურად ეპყრობიან სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს და საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევებს, აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი საქვაჭრობის მუშაობაში.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. **ი. გეტაშვილმა** აღნიშნა, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტების შედეგად გზის თბილისის განყოფილების საწარმოებში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის სოციალისტური საკუთრების დატაცების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. პოლიტგანყოფილება სუსტად ეწეოდა კადრების შემოწმებას, რკინიგზელთა აღზრდას სახელმწიფო დისციპლინის განუხრელად დაცვის, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი მოპყრობის სულისკვეთებით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები კრიტიკასა და თვითკრიტიკას ვერ ურიგდებიან, მუშაობაში პრინციპულობას ძმაბიჭობითა და მეგობრობით ცვლიან.

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. **მ. ჭანტურიძემ** აღიარა, რომ ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია უკანასკნელ დრომდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებს, ჯეროვანი სიმწვავით არ ეხმაურებოდა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დატაცების შემთხვევებს. მან გააკრიტიკა მუშაობა რაიონული პროკურატურისა და მილიციისა, რომლებიც ჯეროვან ოპერატიულობას ვერ იჩენენ სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ამხ. **გ. რობაქიძემ** აღნიშნა, რომ სამინისტროს საწარმოებში სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში მიღწეულ წარმატებებთან ერთად არის დიდი ნაკლოვანებანი სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში. სუხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში, ბამბის ძაფსართავ ფაბრიკასა და სხვა საწარმოებში სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები იყო.

სამინისტროს მუშაკები ჯერ კიდევ ღრმად ვერ სწვდებიან საწარმოების საწარმოო-საფინანსო საქმიანობას. სამინისტრომ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერებისაკენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა შემოწმებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ძლიერდება სამინისტროს სარევიზიო-საინსტრუქტორო ჯგუფი.

სოციალისტური საკუთრების დაცვასა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში პროკურატურისა და სახალხო სასამართლოების როლს მიუძღვნა თავისი გამოსვლა რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. **მ. ლომიძემ.** მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ცალკეულ შემთხვევებში სახალხო სასამართლოებს ლმობიერი განაჩენი გამოაქვთ საბჭოთა კანონების დამრღვევებისათვის.

პროკურატურის ორგანოებისა და სახალხო სასამართლოების წინაშე დგას ამოცანა აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი გაფლანგვების, მტაცებლობის, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში — ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე ამ უმძიმეს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტიის კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. **ზ. კვაჭაძე** შეეხო სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისათვის ბრძოლაში რაიონის პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის საკითხებს. იგი ამბობს, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების შესახებ მოხსენებების, ლექციებისა და საუბრების მოწყობაში მონაწილეობენ პარტიის რაიკომის, სასამართლოს და პროკურატურის მუშაკები.

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ამხ. **დ. ტაბატაძემ** თავის სიტყვაში მოიყვანა რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს სავაჭრო საწარმოებში მომხდარი დატაცება-გაფლანგვის ფაქტები. ამიერკავკასიის რკინიგზაზე დიდ ბოროტებას წარმოადგენს მგზავრების უბილეთოდ წაყვანის შემთხვევები, რაც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და რაც, არსებითად, განხილულ უნდა იქნას როგორც მექრთამეობა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი ამხ. **მ. ჩუბინიძე** შეეხო მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობენ საბჭოთა კანონების დარღვევას, სოციალისტური საკუთრების დატაცებას. ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ვერ უზრუნველყოფს ჯეროვან კონტროლს სახელმწიფო ფულადი სახსრების ხარჯვისადმი, საჭირო ყურადღებას არ აქცევს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორი წარმოების საკითხებს. მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების დატაცების სერიოზული ფაქტები აღმოჩენილ იქნა „გლავნეფტესბიტის" საქართველოს სამმართველოში და მის ბაზებში, ტრესტ „საქყველკარაქმრეწვის" საწარმოებში, ბორჯომის წყლის ჩამომსხმელ ქარხანაში და სხვ. დიდი ბოროტმოქმედებანი აღმოჩენილ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწესებულებებში.

ამხ. ჩუბინიძემ მოიყვანა ფაქტები, რომ საქმოსანი-სპეკულანტები შეპარულნი არიან სარეწაო კოოპერაციაში, სადაც, არტელების აზრას ამოფარებულნი, ეწევიან სხვადასხვა კომბინაციებს. ბევრი სამინისტრო, უწყება და საწარმო არ ასრულებს რევიზიების გეგმას, რაც იწვევს უკონტროლობას და მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა უპასუხისმგებლობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **თ. ქვლივიძემ** აქტივის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლა, გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას. სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის გამოყენებულ უნდა იქნას საგიტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობის სხვადასხვა ფორმა. ამხ. ქვლივიძემ გააკრიტიკა მუშაობა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო სამმართველოსი, „გლავლუგსბიტის" კანტორისა და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციებისა, რომელთა ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო ქმედითი ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა და კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ.

პარტიის 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ამხ. **ი. სხირტლაძემ** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან რაიონის პარტიული ორგანიზაციები საწარმოებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისათვის, საბჭოთა კანონიერების ზუსტად დაცვისათვის.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **კ. ჩარკვიანმა.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების დარგში მუშაობა ხანმოკლე კამპანია როდია. ეს პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი მუდმივი, ძირითადი ამოცანაა. ამ ამოცანის შესრულებისათვის უნდა ვიბრძოლოთ მთელი ბოლშევიკური ენერგიითა და შეუპოვრობით.

თბილისის საქალაქო პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდებს ყოველმხრივ გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის, კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ იდეოლოგიური მუშაობა, ფართოდ გაშალონ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება პარტიისა და ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

8 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საბჭოთა მთავრობას გადასცა ნოტა, რომელიც შეიცავს ცილისმწამებლურ მტკიცებას, თითქოს საბჭოთა კავშირში კვლავ იმყოფება „ასეულათასობით გერმანელი და იაპონელი მოქალაქე, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ტყვედ წაიყვანა ომის მსვლელობაში". ნოტაში აგრეთვე გამოთქმულია სურვილი, რომ საბჭოთა კავშირმა წარადგინოს ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული სამხედრო ტყვეების კომისიისათვის, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ზეგავლენით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიაზე 1950 წლის დეკემბერში. ამ კომისიის სხდომა დანიშნული იყო ამა წლის 21 იანვარს ჟენევაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აღნიშნული ნოტის პასუხად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 20 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა.

„საბჭოთა კავშირიდან იაპონელ და გერმანელ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1952 წლის 8 იანვრის ნოტასთან დაკავშირებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია დაიმოწმოს სსრ კავშირის საელჩოს 1950 წლის 16 ივლისის ნოტა სახელმწიფო დეპარტამენტისადმი და საგარეო საქმეთა სამინისტროს 1950 წლის 30 სექტემბრის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი, რომლებშიც გაცემული იყო ამომწურავი პასუხი ამ საკითხებზე.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო ტყვეთა კომისიის მომავალი სხდომების დამოწმებას, როგორც ცნობილია, ეს კომისია შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ზეგავლენით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით, და უკანონოა.

ამერიკის აღნიშნული ნოტა არ შეიძლება შეფასებულ იქნას სხვანაირად, თუ არა როგორც ცილისმწამებლური გამოხდომა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიმართავს ალბათ იმისათვის, რომ შეამციროს იმ გერმანელ და იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა ბრალი, რომლებმაც გერმანია და იაპონია ჩაითრიეს სამხედრო ავანტიურაში და გააჩაღეს მეორე მსოფლიო ომი, და რომლებსაც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები იყენებენ ახალი მსოფლიო ომის მოსამზადებლად".

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხსენებული ნოტა საბჭოთა მთავრობას გამოეგზავნა, მიუხედავად იმისა, რომ საკდესის 1950 წლის 22 აპრილისა და 5 მაისის ოფიციალურ ცნობებში უკვე განცხადებული იყო, რომ იაპონელ და გერმანელ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაცია საბჭოთა კავშირიდან სავსებით დამთავრებულია.

საკდესის 22 აპრილის ცნობაში აღნიშნული იყო, რომ სულ იაპონიაში რეპატრიირებულ იქნა 510.409 იაპონელი სამხედრო ტყვე, გარდა იმ 70.880 კაცისა, რომლებიც განთავისუფლებულ იქნენ 1945 წელს უშუალოდ საბრძოლო მოქმედების რაიონში. სსრ კავშირში რჩებოდა მხოლოდ 1.487 იაპონელი სამხედრო ტყვე, რომლებიც მსჯავრდადებული იყვნენ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ან რომელთა საქმეზე გამოძიება წარმოებდა, 9 კაცი, რომლებიც სამშობლოში უნდა გაგზავნილიყვნენ მკურნალობის დამთავრების შემდეგ, რომელთაგან 8 კაცი უკვე რეპატრიირებულია იაპონიაში, და 971 იაპონელი სამხედრო ტყვე, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს ჩინელი ხალხის წინააღმდეგ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას უნდა გადასცემოდა.

გერმანელ სამხედრო ტყვეთა შესახებ საკდესის 1950 წლის 5 მაისის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ სულ საბჭოთა კავშირიდან რეპატრიირებულ იქნა 1.939.063 გერმანელი სამხედრო ტყვე. გერმანელ სამხედრო ტყვეთაგან სსრ კავშირში რჩებოდა მხოლოდ 9.717 კაცი, რომლებიც მსჯავრდადებული იყვნენ მათ მიერ პირადად ჩადენილი მძიმე სამხედრო დანაშაულისათვის, 3.815 კაცი, რომელთა სამხედრო დანაშაულობის საქმეებიც გამოძიების სტადიაში იყო, და 14 კაცი დროებით დაკავებული იყო ავადმყოფობის გამო, რომელთაგან 11 კაცი გაჯანსაღების შემდეგ რეპატრიირებულია გერმანიაში.

ამრიგად, საკითხი როგორც საბჭოთა კავშირიდან რეპატრიირებული, ისე სსრ კავშირში დარჩენილი იაპონელი და გერმანელი სამხედრო ტყვეების შესახებ ამომწურავად იყო განმარტებული საკდესის უკვე აღნიშნულ ცნობებში.

### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „დამპალოლოგია და ცომოლოგია"

ამ სათაურით „კომუნისტის" 3 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო ფელეტონი, რომელიც შეეხებოდა თბილისის პურის პირველი ქარხნის მიერ სავაჭრო ქსელში გასაყიდად ცომი პურის გამოშვებას და საქართველოს კონსერვტრესტის თბილისის პირველ მაღაზიაში მომხმარებლისათვის დამპალი ვაშლით ვაჭრობას, რისთვისაც დამნაშავეებს სათანადო სასჯელი არ დაადეს არც საქპურტრესტის, არც კონსერვტრესტის ხელმძღვანელებმა.

საქპურტრესტის მმართველმა ამხ. გორგიაშვილმა გვაცნობა, რომ ფელეტონში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. საკითხი განიხილა თბილისის პურის ქარხნების მუშაკთა თათბირმა, რომელზეც დასახულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები პურის ხარისხის გასაუმჯობესებლად და უხარისხო პურის სავაჭრო ქსელში გაშვების აღმოსაფხვრელად. ამ საკითხზე საწარმოო თათბირი მოეწყო აგრეთვე პურის პირველ ქარხანაში მომუშავე სპეციალისტებთან. თათბირზე აღინიშნა, რომ პურის ქარხნის დირექციამ ლმობიერება გამოიჩინა წუნმდებელ ქველიძის მიმართ, რომლის უყურადღებობით მოხდა ცომი პურის გაშვება სავაჭრო ქსელში.

საქპურტრესტმა შეცვალა პურის პირველი ქარხნის დირექტორის ბრძანება და წუნმდებელი ქველიძე მოხსნა სამუშაოდან.

ფელეტონთან დაკავშირებით საქკონსერვტრესტის მმართველმა ამხ. წიკლაურმა გვაცნობა, რომ ფელეტონში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი. კონსერვტრესტის პირველი მაღაზიის დირექტორს ამხ. მელქაძეს მიეცა მითითება. გამყიდველი ოსიპოვი, რომელიც ცუდად ემსახურებოდა მომხმარებლებს, როგორც შეუფერებელი მუშაკი, განთავისუფლებულია სამუშაოდან. საწყობის გამგე გ. მოლოდინაშვილი, რომელიც მაღაზიას არახარისხოვან ხილს აბარებდა, მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

## „აღრიცხვა მოუგვარებელია, საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ"

ამ სათაურით „კომუნისტის" 1951 წლის 18 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სიღნაღის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას, არის საკოლმეურნეო ქონების განიავების შემთხვევები და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. დ. მახარაშვილი გვატყობინებს, რომ აღნიშნული საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. სოფელ ანაგის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. გოგოლაშვილს 3.117 მანეთის დასაფარავად ზომების მიუღებლობის, გამგეობის დაუკითხავად ფულისა და პროდუქტების გაცემისა და შრომის ანაზღაურების წესების დარღვევისათვის გამოეცხადა საყვედური, უფროს მოანგარიშეს ლ. ვარამაშვილს კი — საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. სიყმაშვილს მჭედელ ალექსანოვისა და მანქანის მძღოლ ს. სიყმაშვილისათვის შრომადღეების არასწორად დარიცხვის გამო მიეთითა. სოფელ ბოდბის ბერიას და ამავე სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ვ. ჯანიაშვილს და ო. ტარყაშვილს საერთო კრების გვერდის ავლით მუშახელის დაქირავებისა და მისთვის ფულისა და პროდუქტების მიცემისათვის გამოეცხადათ საყვედური.

საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ქონების მიმთვისებლების სესიტაშვილის, ინაშვილისა და ყარაბულაშვილის საქმის გამოძიების გაჭიანურებისა და მათი უსაფუძვლოდ გამართლებისათვის რაიპროკურორის მოადგილე ი. სიფრაშვილი მოიხსნა თანამდებობიდან.

## მეთესლეობის სახლის მშენებლობა დუშეთში

**დუშეთი.** (საკ. კორ.). დაიწყეს თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის რაიონული განყოფილების ორსართულიანი შენობის — მეთესლეობის სახლის აგება. უკვე დამთავრდა ქვედა სართულის ამოყვანა.

ახალ შენობაში მოეწყობა თესლის საანალიზო ლაბორატორია, თესლის გასაღივებელი განყოფილება, საკოლექციო გამოფენის დარბაზი და სხვა განყოფილებები. მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს.

## პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ანგარიში რაიკომის პლენუმზე

**ჯავა.** (საკ. კორ.). პარტიის ჯავის რაიკომის მორიგმა პლენუმმა განიხილა სოფელ ხვწეს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მუშაობის საკითხი.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ უკანასკნელ ხანებში გააძლიერა მუშაობა კოლმეურნეთა დასარაზმავად ახალი სამეურნეო წარმატების მოპოვებისათვის, მაგრამ კოლმეურნეობას მეტი მიღწევები ექნებოდა, პარტიული ბიურო მთელი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდეს შინაპარტიული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეს. ჯერ კიდევ მოუმზადებლად იწვევენ პარტიულ კრებებს. გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ბრძოლაში ჩაბმული არ არის ყველა კომუნისტი. ამის შედეგია, რომ დადგენილება ხშირად შეუსრულებელი რჩება, იშვიათად იმართება ღია პარტიული კრებები. თითქმის სრულიად არ მუშაობს პარტიული ორგანიზაცია უპარტიო აქტივთან, არ ხელმძღვანელობს და არ ეხმარება კომკავშირს. ჩაშლილია მუშაობა პარტიულ ჯგუფებში. არადამაკმაყოფილებელია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს კომუნისტების პოლიტიკური სწავლება.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება პარტორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

## ბათუმელ რკინიგზელთა პარტკაბინეტში

**ბათუმი.** (საკ. კორ.). ერთი წელია, რაც ბათუმის რკინიგზის კვანძზე შექმნილია პარტიული კაბინეტი. ამ ხნის მანძილზე პარტკაბინეტმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია კომუნისტებისა და უპარტიო ამხანაგების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში.

თვიდან თვემდე იზრდება პარტიული კაბინეტის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. ამ წიგნებით, აგრეთვე ალბომებით, ფოტოგამოფენებით ყოველდღიურად ათობით პროპაგანდისტი, კონსულტანტი, აგიტატორი და წრეებისა და პოლიტსკოლების მსმენელი სარგებლობს.

პარტკაბინეტში მოწყობილია კონსულტანტების მორიგეობა. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად მუშაობენ კონსულტანტები — სართქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი გ. სალუქვაძე, რკინიგზის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნინუა, სავაგონო დეპოს უფროსი მ. ფირცხალავა და სხვები.

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში პარტკაბინეტმა 20-ზე მეტი ჯგუფური კონსულტაცია მოაწყო. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის მოეწყო 40 ინდივიდუალური კონსულტაცია. პარტკაბინეტი სისტემატურად ეხმარება პროპაგანდისტებს და აგიტატორებს. ხშირად აწყობს მათთან თათბირებს, მოწინავე პროპაგანდისტებისა და აგიტატორების გამოცდილების გაზიარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესის მიმოხილვა

## მოწინავეთა გამოცდილების ტრიბუნა

[illegible] ტენის საამქროში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება თვითეული ღუმელიდან ყოველ თვეში გეგმის გადამეტებით 300 ტონა ფოლადის მისაღებად. შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულება წარმატებით იქნა განაღდებული: ოქტომბერში შ. კუხალეიშვილის ღუმელიდან გეგმის გადამეტებით მიღებულ იქნა 390 ტონა ფოლადი.

საქალაქო გაზეთმა „მეტალურგიისათვის“ გადაწყვიტა გაეშუქებინა მოწინავე მეფოლადეთა ბრიგადის მიღწევები და მისი საწარმოო გამოცდილება. გაზეთის 1951 წლის 1 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა რუსთავში ჩქაროსნული დნობის ინიციატორის შ. კუხალეიშვილის წერილი. ამ წერილში ნოვატორი მეფოლადე მკითხველებს მოუთხრობს:

„ჩვეულებრივ ფოლადის დნობაზე ნორმით 10 საათი გვეძლევა. ტექნოლოგიური პროცესი იყოფა ოთხ ძირითად საწარმოო ოპერაციად — ღუმელის მოწყობა, ღუმელში კაზმის ჩატვირთვა, ფოლადის დუღება და რაფინირება. ჩქაროსნული დნობის დროს 10 საათის ნაცვლად მე მზა ფოლადს ვიძლევი 8 საათსა და 30 წუთში—7 საათსა და 45 წუთში“.

— როგორ ვაღწევთ ამ წარმატებებს? — სვამს კითხვას ამხ. შ. კუხალეიშვილი და დაწვრილებით ჩამოთვლის იმ გზებსა და ხერხებს, რომელთა განხორციელებითაც შესაძლებელი ხდება მეტი, იაფი და მაღალხარისხოვანი ფოლადის მიღება.

ასეთ შინაარსიან და საინტერესო წერილებს წარმოების ნოვატორთა მიღწევებზე, მათს საწარმოო გამოცდილებაზე ხშირად ბეჭდავს გაზეთი „მეტალურგიისათვის“. იგი დიდ ადგილს უთმობს ახალგაზრდა მეტალურგთა და მშენებელთა შორის შრომის მოწინავე მეთოდების პროპაგანდას, დროზე ეხმაურება ნოვატორთა ყოველ ახალ, პატრიოტულ მოძრაობას, რაც მიმართულია საგეგმო დავალებათა მაღალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულებისაკენ.

გაზეთი სისტემატურად აშუქებს, თუ როგორ ინერგება და ვრცელდება მეტალურგთა ქალაქის საწარმოებში ლიუბლინოელი ნოვატორების ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას თაოსნობა. გასული წლის 1 დეკემბრის ნომერში რედაქციამ ამ საკითხზე დაბეჭდა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ლიუბლინოელ ნოვატორთა თაოსნობას პირველმა დაუჭირა მხარი კომკავშირელმა მეფოლადემ ზურაბ კვახაძემ. მან წინადადება წამოაყენა გაჩაღდეს შეჯიბრება თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესოდ შესრულებისათვის, ამასთანავე შემცირებულ იქნას [illegible]

„ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო მექანიკური საამქროს კოლექტივის მიერ ამჟამად გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ საუკეთესო ხარისხისაა...

მექანიკურ ქარხანაში ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას თაოსნობის დანერგვის შედეგად წუნის გამოშვება 15 პროცენტით შემცირდა...

აგურ-ბეტონიტის კომბინატში სრულიად აღმოიფხვრა წუნი, თვითღირებულება შემცირდა 6 პროცენტით“.

გაზეთში შემოღებულია განყოფილებანი: „ჩვენი ქალაქის მოწინავე ადამიანები“, „ახალი ძვირფასი თაოსნობა რუსთავის საწარმოებში“, „გავაუმჯობესოთ ტექნოლოგია, ვიბრძოლოთ მაღალი მაჩვენებლებისათვის“, „მოწინავეთა გამოცდილების ტრიბუნა“ და სხვ. ამ განყოფილებებში მოთავსებული ბევრი წერილი მოფიქრებულად, გამართულად არის შედგენილი და ინტერესით იკითხება. მათში მოთხრობილია მეფოლადეების ვაჟა გიგიბერიას და ილია ლაზარიაშვილის, ორთქლმავლის მემანქანის ცაცა მიბჩვიანის, სამსხმელო საამქროს მეყალიბის ბაგრატ ვანიშვილის, ბეტონის ოსტატის გიორგი ჩარკვიანის, ლითონის ამომკვეთელების ვ. იმნაძის, რ. დოლინსკისა და ტ. ლობაძის, მღარავის ევგენი ჩიხრაძის და სხვათა ნოვატორულ მუშაობაზე, იმაზე, თუ როგორ და რა გზით აღწევენ ეს მოწინავე ადამიანები წარმატებებს.

რედაქცია აქტიურად უჭერს მხარს ახალ, ნოვატორულ წამოწყებებს, ეწევა მათს პოპულარიზაციას.

აღსანიშნავია, რომ გაზეთი „მეტალურგიისათვის“ მოურიდებლად აკრიტიკებს ფორმალიზმს და დაუდევრობას მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში.

რედაქციის მუშაობის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იგი ჯეროვნად არ იბრძვის კრიტიკული შენიშვნების შედეგიანობისათვის. ასევე ნაკლებად აშუქებს მოწინავე საწარმოების პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების, ტექნიკური კაბინეტების გამოცდილებას შრომის ნოვატორული მეთოდების გავრცელებაში.

გაზეთის მუშაკთა ამოცანაა უფრო გააუმჯობესონ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა, გადააქციონ იგი მასების საკუთრებად და ამით ხელი შეუწყონ სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებას.



თბილისი. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. პირველი საამქროს კომკავშირელი სტახანოველი მბურღავი ხალომე ალავერდაშვილი ჩქაროსნული მეთოდით მუშაობს და ყოველდღიურ ნორმას 250-300 პროცენტით ასრულებს.
სურათზე: ს. ალავერდაშვილი დაზგასთან. ფოტო რ. აკოფოვისა

## პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა ლიუბლინოელი ხარატების ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას პატრიოტულმა თაოსნობამ. სალარავი და სახარატო საქმის ოსტატებმა ლ. გოქაძემ და ვ. ამირგულოვმა პირველი მაგალითი უჩვენეს მუშებს ამ მეთოდით მუშაობაში. მათ პირობა დადეს, რომ ყველა საწარმოო ოპერაციას საუკეთესოდ შეასრულებენ და მხოლოდ „ფრიად“ შეფასებას მიიღებენ. შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე სტახანოველები შ. კვატაშიძე, ე. გარა და სხვები, რომლებიც დეტალების მექანიკური დამუშავების ყველა ოპერაციას საუკეთესოდ ასრულებენ.

ქარხანაში შემოღებულია სპეციალური დამღა, რომელსაც თვითეული მუშა ოპერაციის დასრულების შემდეგ ასვამს დეტალზე. ამ ღონისძიებამ დიდად აამაღლა მუშათა პასუხისმგებლობა და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. მარტო მეორე მექანიკურ საამქროში თვითეული ოპერაციის საუკეთესოდ შესრულებისათვის ერთმანეთს ეჯიბრება 19 მუშა.

**თ. კალანდაძე**
ცვლის ინჟინერი

## გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი

შორაპნის რკინიგზის კვანძის მთელი რიგი საწარმოები იმის გამო, რომ კარგად არ მოემზადნენ ზამთრისათვის, ამჟამად შეფერხებით მუშაობენ. საორთქლმავლო დეპოს (უფროსი ბ. ბოჭორიშვილი) ორთქლმავლების სადგომის სახურავში წყალი ჩამოდის. საჭიროა სახურავის შეკეთება, მაგრამ ამისათვის არავინ ზრუნავს. აუცილებელია აგრეთვე ორთქლმავლების სადგომის იატაკის მოასფალტება, მაგრამ არც ამისათვის იწუხებენ თავს.

ორთქლმავლის ყველა მემანქანე და მისი თანაშემწე უზრუნველყოფილი არ არის საცხოვრებელი ბინებით, რის გამო მემანქანეთა ნახევარზე მეტს რამდენიმე კილომეტრით დაცილებული სოფლებიდან უხდება სიარული დეპოში.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სალიანდაგო მეურნეობა (სალიანდაგო დისტანციის უფროსი გრ. შალამბერიძე). დახმარების მიზნით სალიანდაგო დისტანციას ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის უფროსმა ვ. მეგრელიშვილმა შორაპანში გამოუგზავნა 3.500 ცალი ძველი შპალი, საიდანაც 860 ცალი სავსებით უვარგისი აღმოჩნდა.

დისტანციის მუშაკებმა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობას სთხოვეს 25 ცალი სასისრე გადამყვანი, მაგრამ დღემდე ადგილზე ერთი ცალიც არ მიუღიათ. ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზისათვის საჭიროა 6 კილომეტრი რელსები, რაც თავის დროზე იქნა გამოთხოვილი, მაგრამ დღემდე მიღებული არა აქვთ.

დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორაში (უფროსი ლ. ქლიბაძე) მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ნაკლებად ზრუნავენ. მარგანეცის მტვირთავი მუშების საერთო საცხოვრებელი ბინა ზამთრისათვის უხარისხოდ შეაკეთეს.

საჭიროა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამტრედიის განყოფილებამ სათანადო ზომები მიიღოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

**ს. მუმლაძე**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## შემოქმედებითი წინსვლა

პ. ლორიას ახალი რომანი „ნაირა“, რომელიც ამას წინათ „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა, მკითხველებმა გულთბილად მიიღეს.

რომანში ასახულია თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებულ მიწაზე მცხოვრები ქართველების არაადამიანური დევნა და შევიწროება. გზადაგზა ავტორი გვიხატავს თურქი მშრომელი ხალხის დუხჭირ ცხოვრებას და მის ბრძოლას მთავრობის მოხელეთა თარეშის წინააღმდეგ.

რომანის მთავარი მოქმედი პირია გურჯი ქალიშვილი ნაირა. ნაირას მამა მევლუდ გურჯიძე ამაყი ვაჟკაცი იყო. თურქმა პოლიციელმა მას ცოლი გაუუპატიურა, მევლუდმა პოლიციელი მოკლა და საბჭოთა საქართველოში გადმოიხვეწა. ნაირას დედამ ვერ აიტანა უბედურება და მალე გარდაიცვალა. ობოლი ნაირა მისმა პაპამ ბექირმა აღზარდა. ბექირი პატრიოტი ქართველია. იგი შვილიშვილს სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად უნერგავს სამშობლოსადმი სიყვარულს. მაგრამ ნაირა აღიზარდა მუსლიმანურ სარწმუნოებაზე, ამიტომ მისი გონება მოცულია რელიგიური ფანატიზმით. როცა ნაირა გაიზარდა და დამშვენდა, მდიდარმა იუზბაშმა ქემალმა მისი ცოლად შერთვა განიზრახა. ნაირას სიმდიდრე და ფუფუნება მოელოდა, მაგრამ მას სძულდა მდიდარი იუზბაში იმ ტანჯვისათვის, რასაც ის მშრომელ ხალხს აყენებდა.

ერთ დღეს ბექირმა შინ საიდუმლოდ მოიყვანა შემთხვევით დაღუპვას გადარჩენილი ქართველი საბჭოთა ექიმი ნოდარი. ახალგაზრდა ექიმის გაცნობამ და მისმა საუბარმა ფანატიზმით მოცულ ქალიშვილზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. მას პირველად აეხილა თვალი, მწვავედ იგრძნო თავისი ჩაგრული მდგომარეობა და იწყო ოცნება საბჭოთა საქართველოზე. ნაირას ეს გრძნობა უფრო გააღრმავა თურქი ჟურნალისტის ჰაიდარის საუბრებმა. იგი მიხვდა, რომ საბჭოთა კავშირი ბედნიერებისა და თავისუფლების ქვეყანაა, ხოლო ახლანდელი თურქეთი — ჯოჯოხეთური სიბნელისა.

ამ პერიოდში თურქეთის მთავრობის განკარგულებით ქართული სოფლები აჰყარეს და უდაბნოში გადაასახლეს. ქართველთა აყრაში ნაირას საქმროდ გამზადებულმა ქემალმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო. მან საქმე ისე მოაწყო, რომ ბექირი და ნაირა გადასახლებას გადარჩნენ. სანაცვლოდ ქემალმა წინადადება მისცა ნაირას ცოლად გაჰყოლოდა.

ნაირამ იშვიათი გამბედაობა, ნებისყოფის სიმტკიცე და მოხერხებულობა გამოიჩინა და ბექირთან ერთად თურქეთის საზღვარი გადმოლახა, მტრებს ხელიდან გაუსხლტა და ერთ დღეს საქართველოს სასაზღვრო სოფელში აღმოჩნდა. იქ შეხვდა საბჭოთა ადამიანებს და მათ შორის ჰპოვა ნამდვილი, ბედნიერი ცხოვრება, რომელიც დაკარგული ჰქონდა ასკერების, იუზბაშების, ჩაუშებისა და ბეგების საბრძანებელში...

რომანში ასახულია აგრეთვე თურქეთის მშრომელი ხალხის უუფლებო და მონური ცხოვრება. უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან ქართველები (გურჯები). მათ ავი თვალით უცქერიან, ზედმეტად ბეგრავენ, მიწას და მოსავალს ართმევენ. ხალხის ნაშრომი ასკერებსა და ჩაუშებს მიაქვთ. გურჯებს გურჯობისათვის მშობლიური მიწიდან ჰყრიან და უდაბნოში ერეკებიან.

მოსახლეობას ჩაგრავენ მთავრობის ისეთი მოხელეები, როგორიც არის იუზბაში ქემალი, რომლის მიზანი გამდიდრებისა და წარჩინების ფარგლებს არ სცილდება. ქემალის გზას მიჰყვება პირადი წარჩინების წადილით დაბრმავებული გურჯი აბდული.

თურქი ჟურნალისტის ჰაიდარის სახით მწერალმა გვიჩვენა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, თურქი ბარბაროსებისა და ჰიტლერელი ავაზაკების წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი. ჰაიდარს ხალხში შეაქვს შეგნება, რომ „მართლმორწმუნეები“ და „გიაურები“ კი არ არიან ერთმანეთის მტრები, არამედ მჩაგვრელები და ჩაგრულები.

საბჭოთა ადამიანები მათი მაღალი მორალური თვისებებით ავტორმა დაუპირისპირა თურქეთის სინამდვილეში აღზრდილ ადამიანებს და გვიჩვენა მათ შორის არსებული დიდი განსხვავება. ნანა შეუდარებლად უფრო მაღლა დგას ნაირაზე. იგი საბჭოთა ქალიშვილია, ნორჩი თაობის აღმზრდელი და მასწავლებელი, განათლებული, უფლებამოსილი და ბედნიერი, ყველასათვის საყვარელი და ყველასგან პატივცემული. ნაირა კი დაჩაგრული და უუფლებო ქალია, რელიგიური ფანატიზმით გამსჭვალული. მისი მთავარი სიკეთე ის არის, რომ იგი მტკიცედ მიიწევს სინათლისაკენ. გადაგვარებულთ ქემალსა და აბდულს უპირისპირდებიან საბჭოთა ადამიანები — პოდუშკინი და ჯაბუნაშვილი. თურქულ ნაციონალიზმს მკვეთრად უპირისპირდება ქართველების სიყვარული თურქი კოლმეურნე ახმედისადმი.

პ. ლორიას ამ ნაწარმოებს აქვს ნაკლოვანებანიც. არადამაჯერებელი ეპიზოდია ზღვიდან გამორიყული ნოდარის გადარჩენა. ხელოვნურია ნაწარმოების დასასრულს მრავალი მოქმედი პირის ერთდროულად შეხვედრა და მათი ვინაობის გარკვევა.

არაბუნებრივად გაისმის ბექირ გურჯიძის სიტყვები ნაირასადმი: „ბედს შევურიგდეთ, ალაჰის განგებას დავემორჩილოთ, ძლიერის წინაშე ქედი მოვიხაროთ, თაყვანი ვცეთ...“ ძლიერის მიმართ მორჩილების ასეთი განწყობილება ჩრდილს აყენებს ბექირის სახეს.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, ნაწარმოები ინტერესით იკითხება და ცოცხლად გვიხატავს ქართველების მძიმე ცხოვრებას თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებულ მიწაზე.

პ. ლორიას ადრინდელ ნაწარმოებთა სუსტი მხარე დაუხვეწავი ენა იყო. მწერალი ახალ რომანში ამ მხრივ სერიოზულ წინსვლას ამჟღავნებს.

**ა. ჯაფარიძე**

## ეპოქის შესანიშნავი ძეგლი

ალბათ მოგისმენიათ: არის ჩვენს დღეებში შექმნილი ერთი შესანიშნავი მელოდია — ლირიკული სიმღერა ლენინის მთების შესახებ. ბედნიერების დიად გრძნობასთან შეზავებული ახალგაზრდული გატაცება, ხვალინდელი დღის სიმაღლიდან დანახული სინამდვილე—აი რა მოტივებია ამ სიმღერაში. ლენინის მთების ყველაზე მაღალ ადგილას მდგომი მოსკოველი ახალგაზრდა აღტაცებული ეგებება მზის ამოსვლას, როცა საყვარელი დედაქალაქი იხსნის დილის ნისლის თხელ მანდილს და თვალთა წინაშე იშლება გრანდიოზული ძალის სამყარო, განათებული მზის ბრწყინვალებით. ამ სიმღერას დიდებული დაბოლოება აქვს, რომელშიც გადმოცემულია ლენინის მთების ახალი ბედი — მათ მკერდზე ეპოქის შესანიშნავი ძეგლის — მეცნიერების უდიდესი სასახლის შექმნა.

დიახ, ის, რაც ლენინის მთებზე შეიქმნა, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ძეგლად დარჩება. ეს იქნება ეპოქის ძეგლი იმიტომ, რომ მასში ასახულია ჩვენი ძალა და ძლიერება, ჩვენი სწრაფვა მუდამ „წინ და მაღლა“, როგორც მოხდენილად იტყოდა ხოლმე მაქსიმ გორკი. ეს იქნება ეპოქის ძეგლი იმიტომ, რომ იგი შექმნილია ახალი ეპოქის ადამიანის გონებითა და მკლავით. ეს იქნება ეპოქას ძეგლი იმიტომ, რომ იგი გადმოგვცემს ჩვენი დღეების მშენებლობათა მასშტაბებისა და ტემპების გრანდიოზულობას.

აქ, ამ მთების ყველაზე მაღალ ადგილას აღიმართა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცათამბჯენი შენობა. როცა მატარებელი უახლოვდება მოსკოვს, სულ ერთია რომელი მხრიდან, მგზავრის თვალი უწინარეს ყოვლისა ჩერდება დედაქალაქის თავზე აღმართული ამ გიგანტის სართულებზე. მისი ცენტრალური კორპუსი შორი მანძილიდან მოჩანს, როგორც ცის კამარაში შეტყორცნილი უზარმაზარი თეთრი ისარი წამახული მბრწყინავი თავით. თუ ირგვლივ ღრუბლის ქულებია მიმოფანტული ან ნისლია შემდებული, სურათი კიდევ უფრო მიმზიდველია, რადგან ამ ღრუბლების თავზე შეცურებული და უზარმაზარ ვარსკვლავიანი მოკიაფე შპილით დაგვირგვინებული უკანასკნელი სართულები ზღაპრულ სანახაობას ქმნიან.

მეცნიერების ეს გიგანტური სასახლე, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოში არა მარტო თავისი მოცულობით, არამედ მოწყობილობითაც, დაიბადა სულ მოკლე დროის მანძილზე, მშვიდობისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის ამ უკანასკნელ პერიოდში. მეცნიერების უდიდესი მეგობრის — დიდი სტალინის ამ გენიალურმა ნააზრევმა სწრაფად შეისხა ხორცი სოციალიზმის ქვეყნის ადამიანების გმირული შრომის შედეგად. მხოლოდ ასეთ შრომას შეეძლო სწრაფად დაედგა მრავალი ათეული ათასი ტონა ფოლადის კონსტრუქციები, დაეწყო ას მილიონზე მეტი ცალი აგური, ჩაესხა ასობით ათასი ტონა ბეტონი. ეს შესაძლო იყო ურთულესი მექანიზმების მაქსიმალური გამოყენებით. ყველა მძიმე სამუშაოს აქ ელექტრობა და მანქანა ასრულებდა. მექანიზმი საბჭოთა მშენებლის ხელში გადაიქცა ისეთ ძალად, რომლის წინაშე არ არსებობს არავითარი გადაულახავი დაბრკოლება. ორმოცდაათამდე ძლიერ ამწეს, რომელთაც უბრალოდ „მექანიკურ მტვირთავებს“ ეძახიან, ერთდროულად აჰქონდა რომელ სართულზედაც გნებავთ თვრამეტ ვაგონამდე საამშენებლო ტვირთი. მარტო დღე-ღამის განმავლობაში აქ იხარჯებოდა 65 ათასზე მეტი კილოვატსაათი ენერგია. ელექტრობის ასეთი მასობრივი გამოყენება მშენებლობაზე დამახასიათებელია საბჭოთა ეპოქისათვის, როდესაც ყველაფერი კეთდება ადამიანის ფიზიკური შრომის პირობების შესამსუბუქებლად და გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის ზღვარის სრული მოშლისათვის.

რამდენიმე ციფრიც კი, რომელსაც ჩვენ აქ დავასახელებთ, იძლევა წარმოდგენას მეცნიერების ამ ახალი სასახლის გრანდიოზულობაზე.

უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია უდრის ას სამოც ჰექტარს. აქედან მარტო ცენტრალური ნაგებობა გადაჭიმულია 110 ჰექტარზე. ოცამდე უზარმაზარი ნაგებობა შექმნის მიმზიდველ არქიტექტურულ ანსამბლს ერთიანი ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრით. შენობათა მთელი მოცულობა აღწევს ორ მილიონ ორასი ათას კუბმეტრს. მარტო კორიდორების სიგრძე შეადგენს 33 კილომეტრს.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, უნივერსიტეტის ნაგებობანი აღმართულია ლენინის მთების ყველაზე მაღალ ადგილას, რომელიც მდებარეობს მდინარე მოსკოვის თავზე, მისი დონიდან 75 მეტრ სიმაღლეზე. საკუთრივ უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსის სიმაღლე (26 სართული) უდრის ორას მეტრს. მას აგვირგვინებს კოშკი და ფოლადის შპილი ხუთქიმიანი ვარსკვლავით. მარტო შპილის სიმაღლე სამოცი მეტრია. ამგვარად, უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსის სიმაღლე, ბუნებრივი კვარცხლბეკის ჩათვლით, სამას მეტრს აჭარბებს. უნივერსიტეტის ნაგებობანი და მის წინ გაშლილი პარკები იქნება მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონის მთელი არქიტექტურული ანსამბლის ცენტრი.

როგორ მოეწყობა სასწავლო-სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უნივერსიტეტში? მთელი ამ საქმის ორგანიზაცია გათვალისწინებულია იმგვარად, რომ პროფესორებს, სტუდენტებს და ასპირანტებს გაუადვილდეთ მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტა. ეწყობა შვიდასი სხვადასხვა ლაბორატორია, უდიდესი სააქტო დარბაზი, კათედრები, სამეცნიერო კაბინეტები, მუზეუმი, ბიბლიოთეკები. როგორც სასწავლო, ისე საყოფაცხოვრებო პრობლემები აქ შესანიშნავად არის გადაჭრილი. ექვსი ათასი ოთახი გათვალისწინებულია სტუდენტებისა და ასპირანტების საცხოვრებლად. ასი ლიფტი სართულებსა და კორპუსებს შორის სწრაფი კავშირის საშუალებას იძლევა.

ახალგაზრდობისათვის აქ შექმნილია წარმატებით სწავლის ყველა აუცილებელი პირობა. თვითეული სტუდენტი და ასპირანტი მიიღებს სუფთა და ნათელ ცალკე ოთახს, რომელშიც იქნება: საწოლი, წიგნებისა და საყოფაცხოვრებო განჯინები, საწერი და სასადილო მაგიდები, რბილი სკამები.

ფაკულტეტები და კაბინეტები მომარაგებული იქნებიან ყველა საჭირო მასალით ცდების, დაკვირვებების მოსაწყობად. დედაქალაქის ბევრი საწარმო მუშაობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ახალი სრულყოფილი ხელსაწყოების დამზადებაზე. ექსპერიმენტული სამუშაოები, რაც უნივერსიტეტის ძველ შენობაში ბინების სივიწროვის გამო შედარებით შეკვეცილი იყო, მთელი ძალით გაიშლება და მტკიცედ დაუკავშირდება როგორც პედაგოგიურ მუშაობას, ისე სახალხო მეურნეობის უშუალო პრაქტიკას. ახალი შენობა საამისოდ ფართო შესაძლებლობას იძლევა მეცნიერების ყველა დარგში. ავიღოთ, მაგალითად, ბიოლოგია-ნიადაგთმცოდნეობის ფაკულტეტი. მას ეთმობა მთელი კორპუსი ბოტანიკური ბაღის გვერდით.

უნივერსიტეტის ეზოში 32 ჰექტარზე იქმნება სპეციალური აგრობოტანიკური ბაღი. მისი მეტი ნაწილი ეთმობა დენდრარიუმს. მასში იქნება ჩვენი ქვეყნის მეცნიერების უმდიდრესი კოლექცია — ათასი სხვადასხვა ჯიშის მცენარე, განლაგებული გეოლოგიური პრინციპით. აქვე ეწყობა მიჩურინული ბაღი ახალი ჯიშების შესაქმნელად ცდების მოწყობისა და მიჩურინული აგრობიოლოგიის მიღწევების ფართოდ შესწავლის მიზნით. ბაღის ცენტრში შენდება ალპინარიუმი — ხელოვნური მთები კავკასიის, ყირიმის, ალტაისა და სხვა მთიანი მხარეების დამახასიათებელი მცენარეულობით. მოეწყობა მცენარეთა სისტემატიკის სპეციალური უბანი. ხელოვნური კლიმატის ყოველმხრივ მოწყობილი კამერა საშუალებას მისცემს პროფესორებსა და სტუდენტებს მოაწყონ ცდები მცენარეების სხვადასხვა კლიმატურ პირობებთან შეგუების დარგში. ზოოლოგებისათვის აქვე ეწყობა ოცდაათამდე წყალსატევი და გუბურა.

ახალ შენობაში მარტო გეოგრაფიული ფაკულტეტი დაიჭერს ცენტრალური ნაწილის შვიდ სართულს. ქიმიის ფაკულტეტზე კი თვითეული სტუდენტი მიიღებს თავის მუდმივ სამუშაო ადგილს სათანადო ლაბორატორიაში. ასევე ფართო შესაძლებლობანი იქმნება დანარჩენი ფაკულტეტების მუშაობისათვის.

უნივერსიტეტის მეცნიერული ძალები მიიღებენ ახალ შესაძლებლობებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთავარი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის.

პროფესორების, სტუდენტებისა და ასპირანტების განკარგულებაში იქნება შესანიშნავი ბიბლიოთეკა წიგნის უზარმაზარი ფონდით. იგი დააკმაყოფილებს მათს ყველა მოთხოვნილებას ლიტერატურაზე. ბიბლიოთეკის მუშაობას საფუძვლად დაედება პრინციპი: მკითხველთა სრული დიფერენციული მომსახურება ცოდნის დარგების მიხედვით. ბიბლიოთეკის წიგნთსაცავები გათვალისწინებულია ერთ მილიონ ორასი ათასი ტომისათვის. აქედან ნახევარ მილიონზე მეტი წიგნი მოთავსებული იქნება შენობის მაღალ ნაწილში, ხოლო დანარჩენი — ფაკულტეტებისა და დარგების მიხედვით. თექვსმეტიარუსიანი მთავარი წიგნთსაცავი მომსახურების მოხერხებულობის მიზნით მოთავსებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ნაწილში. მკითხველის მომსახურება აქ დაყენებული იქნება შესანიშნავად: სტუდენტი ან ასპირანტი მისთვის საჭირო წიგნს მიიღებს პნევმატური ფოსტით — მუდმივმოქმედი ვერტიკალური კონვეიერის მეშვეობით. კონვეიერი სპეციალური მოწყობილობის საშუალებით წიგნს დატოვებს საჭირო ადგილას. მთხოვნელს შეკვეთილი წიგნი გადაეცემა დაკვეთიდან არა უგვიანეს 10 წუთისა.

ჩვენს სამშობლოში სწავლა დიდი ბედნიერებაა. მაგრამ განსაკუთრებული ბედნიერებაა ისწავლო ასეთ უნივერსიტეტში. იგი მეცნიერების დაუფლებისათვის ბრძოლის ცენტრია. აქ თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერული ძალები და ცოდნის წყურვილით შეპყრობილი ახალგაზრდობა. ამიტომ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრი მათგანი, ვინც აქ, ამ კედლებში ეზიარება მეცნიერებას, თავისი ხელით აშენებდა შარშან და წელს ამ გიგანტს. „პრავდაში“ ამას წინათ მოყვანილი იყო ჩვენი სინამდვილის დამახასიათებელი მეტად საინტერესო ფაქტი. უნივერსიტეტის მშენებელთა შორის განსაკუთრებით დაწინაურდა კომკავშირელი ვ. პაშკოვი. იგი ეკუთვნის იმათ რიცხვს, ვინც ისწავლის აქ. ამ პაშკოვის შესახებ მოჰყავდა „პრავდას“ მშენებელთა სიტყვები: იგი აშენებს უნივერსიტეტს, ისწავლის მასში და, ადვილი მოსალოდნელია, მასშივე გახდება პროფესორი. ამ უბრალო სიტყვებში გადმოცემულია ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი დღის სიმართლე. პაშკოვი ერთეული როდია. აქ ასეთები ასობით არიან.

უნივერსიტეტის მშენებლობა თვით გახდა მასობრივ უნივერსიტეტად. ახლა, როცა საქმე დასასრულს მიუახლოვდა, მის ბევრ მშენებელს შეუძლია მოიგონოს აქ გატარებული პირველი დღეები, როცა მას არ გააჩნდა არავითარი სპეციალობა. ასეთი იყო მშენებელთა ოთხმოცდაათი პროცენტი. შრომის პროცესში ათასობით ადამიანმა აქ შეიძინა მემონტაჟის, ქვის ოსტატის, მშენებლის, ელექტროშემდუღებლის და ბევრი სხვა სპეციალობა. აქაურმა ინჟინრებმა ბევრი ახალი სპეციალისტი მოუმზადეს ჩვენი ქვეყნის ახალმშენებლობებს.

* * *

მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობის წინ დადგებით პირით მდინარე მოსკოვისაკენ და თქვენს წინ იშლება შესანიშნავი პანორამა სიცოცხლით სავსე ქალაქისა, რომელსაც არ უჩანს საზღვარი და კიდე; მოჩანს მოსკოვი მთელი თავისი სიდიადით; მოჩანს სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის მსოფლიო ცენტრი; მოჩანს იგი თავისი რვასაუკუნოვანი ისტორიით და დღევანდელი დღით, მის ვრცელ ჰორიზონტზე ბოლავენ მშვიდობის ქარხნებისა და ფაბრიკების მილები. მის შესანიშნავ ბაღებს წრედ მიჰყვებიან 16-32-სართულიანი გიგანტი ნაგებობანი. ზოგიერთმა მათგანმა უკვე მოიხსნა ხარაჩოები და გვერდში ამოუდგა ლენინის მთებზე შემდგარ გიგანტს; ზოგიერთი კი კვლავ განაგრძობს ზრდას მაღლა ცისაკენ. მათს ცენტრში დგას ისტორიული კრემლი თავისი ლალის ვარსკვლავებით. უნივერსიტეტის სიმაღლიდან თქვენი მზერა მოივლის მოსკოვს და აქ შეჩერდება. დიდხანს, დიდხანს უყურებთ თქვენ კრემლს. თქვენთან ერთად მისკენ მიმართულია მსოფლიოს მილიონობით ადამიანის თვალი. და თუმცა ისინი ამჟამად არ დგანან თქვენს გვერდით, ლენინის მთებზე, მაგრამ თქვენზე ნაკლებ არ ხედავენ მოსკოვის გულს, სადაც ხალხთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნავს დიდი სტალინი. მისი ნებით აკიაფდა ლენინის მთებზე მეცნიერების უდიდესი სასახლის ვარსკვლავი—ახალი ვარსკვლავი კრემლის ლალის მნათობთა თანავარსკვლავედში. მისი სხივები შორს იჭრებიან ამ სიმაღლიდან.

აქედან, მოსკოვის ამ სიმაღლიდან მოჩანს თვალუწვდენი ჰორიზონტები. აქედან მოჩანს მშვიდობიანი და ბედნიერი შრომის ახალი გამარჯვებანი, ჩვენი ხვალინდელი დღის ბრწყინვალება.

**გ. მერკვილაძე**

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

**პარიზი,** 23 იანვარი. (საკდეს სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკურ კომიტეტში დამთავრდა საერთო დისკუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხზე.

სხდომის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა პერუს დელეგატის ბელაუნდეს სიტყვამ, რომელმაც, როგორც ცნობილია, წარადგინა რეზოლუცია ამ საკითხზე. პოლიტიკურ კომიტეტში გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ ის წინადადებანი, რომლებსაც ეს რეზოლუცია შეიცავს, ახალი ცდაა თავს მოახვიონ გენერალურ ასამბლეას სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დისკრიმინაციის პოლიტიკა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ. პერუს რეზოლუცია მოითხოვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხი განხილულიყო მხოლოდ როგორც „უფლებრივი“ და არა როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი, როგორიც იგი სინამდვილეშია, და კენჭი ეყარათ მისთვის, როგორც საპროცედურო საკითხისათვის, რათა არ გავრცელებულიყო მასზე ერთხმივობის პრინციპი უშიშროების საბჭოში კენჭისყრის დროს. ამ რეზოლუციის მეორე საფუძველი იყო წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცას თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ სახელმწიფოს მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დაემყარებინა არა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციაზე, როგორც გათვალისწინებულია წესდებით, არამედ ყველა იმ სახელმწიფოს მიერ „დოკუმენტალური დამამტკიცებელი საბუთების“ წარდგენაზე, რომელმაც განცხადება შეიტანა მიღების შესახებ. ახალ წევრთა მიღების ასეთი წესის შემოღება შესაძლებლობას მისცემდა შეერთებულ შტატებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მათს მორჩილ დელეგაციებზე დაყრდნობით გაემართათ იმ სახელმწიფოთა გასამართლების მსგავსი რამ, რომლებმაც წარადგინეს ასეთი „დამამტკიცებელი საბუთები“, და გამოენახათ სხვადასხვა საბაბი, რათა მათთვის არასასურველ სახელმწიფოთა განცხადებანი უარეყოთ ვითომდა მათი „არამშვიდობისმოყვარეობის“ გამო.

სსრ კავშირის, ბელორუსიის, უკრაინის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა მკვეთრად გააკრიტიკეს პერუს პროექტი. მის წინააღმდეგ აზრი გამოთქვეს ამერიკელთა ბანაკის მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმაც კი, ზოგმა პირდაპირ, ზოგმა შენიღბულად. მათაც კი ვერ შეძლეს თვალი აერიდებინათ იმ ფაქტისათვის, რომ ეს რეზოლუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების მთელ საკითხს ტოვებს ჩიხში, რომელშიც იგი ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით ისედაც მოქცეულია უკვე მთელი რიგი წლების მანძილზე, და შეიტანეს ამ პროექტის მრავალი შესწორებანი, რომლებიც არსებითად ქვას ქვაზე აღარ ტოვებენ ამ პროექტში.

დისკუსიის მსვლელობაში გამოირკვა, რომ ბევრი დელეგაციის აზრით ჩიხიდან გამოსავალია სსრ კავშირის წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერთსა და იმავე დროს მიღებულ იქნას თოთხმეტივე წევრი, რომლებმაც განცხადებები შეიტანეს ამის შესახებ.

დღევანდელი სხდომის ბოლოს გამოსულმა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა მტკიცე პასუხი გასცა გათავხედებულ ამერიკელ ცილისმწამებელს, ამხილა მისი ინსინუაციები და ცხადყო, რომ მხოლოდ საბჭოთა წინადადების მიღებით შეიძლება მიღწეულ იქნას საკითხის სამართლიანი და წესდებაზე დაფუძნებული გადაწყვეტა.

მალიკმა აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მოსაზრებანი რამდენიმე სახელმწიფოს ერთსა და იმავე დროს მიღების წინააღმდეგ, და განაცხადა, რომ, დაადგნენ რა აგრესიული პოლიტიკის გზას, ახალი ომის მომზადების გზას, ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ თავიანთ ბატონობასა და კონტროლს დაუმორჩილონ რაც შეიძლება მეტი ქვეყანა და ამიტომ ცდილობენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულ იქნან მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სასურველი სახელმწიფოები.

სსრ კავშირის დელეგატმა ცხადყო ყველა იმ ბრალდებათა უსაფუძვლობა, უაზრობა და ცილისმწამებლური ხასიათი, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს უყენებენ, რათა გაამართლონ ამერიკის შეერთებული შტატების დაჟინებითი სურვილი — არ დაუშვან ეს ქვეყნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში,

სსრ კავშირის დელეგაცია, თქვა მალიკმა, მტკიცედ მოითხოვს, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები როგორც მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოები მიღებულ იქნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყველა სხვა იმ სახელმწიფოსთან ერთად და მათთან თანაბარ საფუძველზე, რომლებმაც განცხადება შეიტანეს მიღების შესახებ. სწორედ ამას მოითხოვს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად შეტანილი წინადადება.

• • •

საერთო დისკუსიის დამთავრების შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ 24 იანვრის დილის სხდომაზე კომიტეტი შეუდგება მის განსახილველად შეტანილი რეზოლუციების პროექტებისა და მათი შესწორებების განხილვას.

# ჰარიმანის განცხადება

**ლონდონი,** 24 იანვარი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიომ გადასცა, ეგრეთწოდებული „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის საკითხთა სამმართველოს“ ხელმძღვანელმა ჰარიმანმა ვაშინგტონში განაცხადა, რომ, ირანს გარდა, შეერთებული შტატები დროებით შეუწყვეტენ „ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას“ ეგვიპტეს, ავღანეთს, ბირმას, ერაყსა და ეირეს.

სენატისა და წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა და შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიების თავმჯდომარეებისათვის გაგზავნილ წერილში ჰარიმანი აღნიშნავს, რომ ეკონომიური და ტექნიკური დახმარების შეწყვეტა იმით აიხსნება, რომ ამ ქვეყნებმა არ შეასრულეს „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის“ კანონით გათვალისწინებული პირობები.

ლონდონის რადიოს ამ ცნობიდან, ცხადია, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ჰარიმანის განცხადებაში ჩამოთვლილ ქვეყნებს არც თუ ძლიერ სურთ ამერიკის „დახმარების“ მიღება.

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

**პარიზი,** 25 იანვარი. (საკდესი). როგორც ცნობილია, მთავრობამ, როცა მას მეთაურობდა პლევენი, მოამზადა კანონპროექტი, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მიანიჭებდა უფლებას „თანხმობა გამოეთქვა, რათა საბერძნეთსა და თურქეთს გაგზავნოდა წინადადება ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტში შესვლის შესახებ“. ახალმა მთავრობამ, რომელსაც ედგარ ფორი მეთაურობს, თავისი საქმიანობა იმით დაიწყო, რომ სასწრაფო წესით დასვა ეს კანონპროექტი ეროვნული კრების განსახილველად.

აგრესიული ატლანტიკის ბლოკის გაფართოების თავგამოდებულმა მომხრეებმა რეაქციონერმა დეპუტატებმა მიუტერმა („გლეხთა პარტია“), მონსაბერმა და ბიიოტმა (დეგოლელები), კანიელ-იულეიერმა და სხვებმა მხარი დაუჭირეს ამ კანონპროექტს, ამასთან „არგუმენტად“ მოიყვანეს ის გარემოება, რომ თურქეთსა და საბერძნეთს შეიარაღებული ძალები ჰყავთ და უდიდეს სახსრებს ხარჯავენ სამხედრო მიზნით.

პროგრესულ რესპუბლიკელთა საპარლამენტო ჯგუფის სახელით გამოსულმა დეპუტატმა ჟილბერ დე შამბრენმა ცხადყო, რომ ომის ამერიკელი გამჩაღებლები და მათი ფრანგი დამქაშები ატლანტიკის პაქტში საბერძნეთისა და თურქეთის შეყვანას ცდილობენ, რათა ამ ქვეყნების ტერიტორიები გამოიყენონ ამერიკის ექსპანსიისათვის ბალკანეთსა და შავი ზღვის რაიონში.

ომის გამჩაღებლებს, განაცხადა დე შამბრენმა, სურთ, რომ ატლანტიკის პაქტი ვრცელდებოდეს ბალკანეთამდე, შავ ზღვასა და კავკასიამდე, ესე იგი საბჭოთა კავშირის საზღვრებამდე.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა კომუნისტმა დეპუტატმა გენერალმა ჟუენვილმა. მან ცხადყო, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს საფრანგეთისათვის და მშვიდობის საქმისათვის ატლანტიკის პაქტში საბერძნეთისა და თურქეთის—ამ სახელმწიფოების შეყვანა, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ მტრულ პოლიტიკას ახორციელებენ და პროვოკაციულად იწვევენ დაუსრულებელ სასაზღვრო ინციდენტებს.

ფრანგი ხალხი, განაცხადა დასასრულ ჟუენვილმა, არავის მისცემს ნებას, რომ იგი ჩაითრიონ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც მშრომელთა იმედის სიმბოლოს წარმოადგენს.

საგარეო საქმეთა მინისტრის რობერ შუმანის წინადადებით ეროვნული კრების რეაქციულმა უმრავლესობამ 519 ხმით მოიწონა საბერძნეთისა და თურქეთის შეყვანა ატლანტიკის პაქტში. ამ პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა 101 დეპუტატმა (კომუნისტებმა და პროგრესულმა რესპუბლიკელებმა).

საფრანგეთში შედგენილია ახალი მთავრობა. (გაზეთებიდან).



ფრანგი რეაქციონერი — ბატონო ეიზენჰაუერ, შეგიძლიათ ენდოთ ამ ჯენტლმენებს, რადგან ფრანგი ხალხი მათ არ ენდობა. ნახატი ი. თბილელისა.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 25 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 25 იანვარს გამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს და განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს.

გუშინ ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები წარმოებდა. სახალხო არმიის ნაწილებმა სავსებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები.

აღმოსავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილებმა, მოიგერიეს რა მოწინააღმდეგის რამდენიმე იერიში, მოსპეს და დაჭრეს მტრის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია მოწინააღმდეგის სამი ტანკი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი, რომლებიც თავს ესხმოდნენ კორეის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროს.

## ამერიკის თვითმფრინავების მიერ კესონის რაიონის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო

**პეკინი,** 24 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

გუშინ ამერიკელებმა გადასცეს პასუხი იმ მტკიცე პროტესტზე, რომელიც მათ კორეისა და ჩინეთის დელეგაციამ განუცხადა კესონის ნეიტრალური ზონის 17 იანვარს დაბომბვასთან, აგრეთვე კორეისა და ჩინეთის დელეგაციის ავტომანქანების კოლონის 18 იანვარს დაბომბვასა და მისთვის სროლის ატეხასთან დაკავშირებით, რაც ორივე შემთხვევაში შეთანხმების დარღვევას წარმოადგენდა.

ერთობლივი გამოკვლევის შედეგად დადასტურდა ამერიკის მხარის უდავო პასუხისმგებლობა ორივე ამ ინციდენტისათვის.

ამერიკელებმა აღიარეს, რომ ამერიკის რეაქტიულ ავიაგამანადგურებელთა ჯგუფის ერთმა თვითმფრინავმა ჩამოაგდო ათასი გირვანქა წონის ბომბი „კესონის რაიონში“, და გამოთქვეს „გაერთიანებული ერების სარდლობის მწუხარება“ „ერთ-ერთი თავისი პილოტის წინასწარგანუზრახველი მოქმედების“ გამო. მათ აგრეთვე აღიარეს ფაქტები, რაც დადასტურებულ იქნა მამხილებელი საბუთებისა და მოწმეების ჩვენებით, რომლებიც შეეხება კორეისა და ჩინეთის დელეგაციის ავტომანქანების კოლონის დაბომბვასა და მისთვის სროლის ატეხას ხანვორის რაიონში, და გამოთქვეს „მწუხარება“ ამ თავდასხმის გამო.

## ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე

**შანხაი,** 24 იანვარი. (საკდესი). თანახმად ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკესი, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც ჩრდილოეთ ვიეტნამში მოქმედებენ, ერთი კვირის მანძილზე, რაც 17 ნოემბერს დამთავრდა, მოკლეს და ტყვედ წაიყვანეს 1.300 ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ პერიოდში სახალხო არმიის ნაწილები კვლავ გარს ერტყნენ ფრანგთა ხელში მყოფ პროვინციულ დიდაქალაქ ხოა-ბინს, 60 კილომეტრზე ხანოის სამხრეთ-დასავლეთით, იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე ხანოი-ხოა-ბინის გზატკეცილის, № 6 გზის გაყოლებით, გააძლიერეს აქტივობა ცენტრალურ რაიონში და წითელი მდინარის დელტის რაიონში, აგრეთვე ჩრდილოეთ ვიეტნამში, კერძოდ ბაკ-ნინის და ნამ-დინის პროვინციებში.

ამრიგად, აღნიშნულია შემდეგ კომუნიკეში, 9 კვირის ბრძოლებში, 10 ნოემბრიდან, ე. ი. ხოა-ბინზე შეტევის დაწყების მომენტიდან, ფრანგმა აგრესორებმა ჩრდილოეთ ვიეტნამში დაკარგეს 11 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა და ტყვედ წაყვანილთა სახით (დაჭრილთა ჩაუთვლელად). 7 თვითმფრინავი, 10 ტანკი, 154 ჯავშნიანი მანქანა და სატვირთო მანქანა, 9 სამდინარო გემი და კარჭაპი, 40-ზე მეტი სხვადასხვა კალიბრის საარტილერიო ქვემეხი, 50 მძიმე ტყვიამფრქვევი, 149 მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 455 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, 98 რაცია და მრავალი შაშხანა და სხვა სამხედრო საჭურველი.

# გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის განცხადება

**ბერლინი,** 23 იანვარი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა გამგეობამ ყველა გერმანელ მამაკაცსა და ქალს და გერმანელ ახალგაზრდას მიმართა წინადადებით გააჩაღონ მტკიცე ბრძოლა დასავლეთ გერმანიის არმიაში გაწვევისა და „საერთო ხელშეკრულების“ დადების წინააღმდეგ.

„ბონში ეიზენჰაუერის ფელდფებლის ბლანკის (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი) ოფიციალურმა განცხადებამ იძულებითი სამხედრო ბეგრის კანონის შემუშავების შესახებ და ეიზენჰაუერის გენერალური შტაბის სარდლობაში მყოფ არმიაში გერმანელი მამაკაცების მრავალი ასაკის მომავალი გაწვევის შესახებ,—ნათქვამია გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის განცხადებაში,—დასავლეთ გერმანიის მთელი მოსახლეობის ზიზღი და აღშფოთება გამოიწვია. წელიწადნახევრის განმავლობაში შეიარაღების ამ გეგმების შესანიღბავად, რომლებიც შემუშავებულია უმაღლესი კომისრების მიერ, ადენაუერი მოსახლეობას ატყუებდა. როცა გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ დასავლეთ გერმანიის მშვიდობისმოყვარე მოსახლეობის სახელით და მასთან ერთად ადენაუერს მისცა კითხვა, ეწევა თუ არა იგი რემილიტარიზაციისათვის მზადებას ან გერმანიის დაქირავებული არმიის შექმნის შესახებ მოლაპარაკებას, მან უტიფრად უპასუხა: „არა!“.

მაგრამ ახლა ბლანკმა თვითონ აღიარა მთელი სიცრუე, მთელი საზიზღარი ხერხები, რომელთა დახმარებითაც ჩვენი ხალხი შეცდომაში შეჰყავდათ. მან განაცხადა, რომ უკვე წელიწადნახევრის წინათ მან ადენაუერისაგან მიიღო დავალება განეხორციელებინა ყოველგვარი მზადება სამხედრო ბეგრის კანონის შესამუშავებლად და დაქირავებულთა არმიაში იძულებითი მობილიზაციისათვის. ეგრეთწოდებული „უშიშროების საკითხთა სამმართველო“ — ბლანკის უწყება, რომელიც საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად შენიღბული იყო როგორც „საოკუპაციო ჯარების განლაგების სამმართველო“, ნამდვილად იმთავითვე ახალი სამხედრო სამინისტრო იყო, რომელიც საიდუმლოდ შექმნეს ეიზენჰაუერმა, მაკკლოიმ და ადენაუერმა. ეს იცოდნენ დოქტორმა შუმახერმა, ოლენჰაუერმა და ფეტემაც კი...

ბლანკს თავის სიტყვაში არავითარი ეჭვი არ დაუტოვებია იმის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიაში იძულებითი სამხედრო ბეგრის კანონის შემოღება ომის ამერიკელ გამჩაღებელთა პირდაპირი და აშკარა მოთხოვნაა. მან სიტყვასიტყვით შემდეგი თქვა: „ჩვენგან, გერმანელებისაგან, მოითხოვენ მონაწილეობა მივიღოთ მათს (!) მზადებაში“.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ადენაუერი და ბლანკი თავიანთი ბატონების მოთხოვნით აპირებენ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე განახორციელონ სამხედრო პროვოკაცია და სამხედრო აგრესია, რაც უკვე მოხდა კორეაში. ამასთან ბლანკი იყენებს სიცრუეს, რომ დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ევროპას თითქოს საფრთხე მოელით საბჭოთა კავშირის მხრივ. ეს იმპერიალისტების ძველი მეთოდია. იმისათვის, რომ მოემზადებინა თავისი ომი, ჰიტლერიც იყენებდა სიცრუეს, რომ გერმანელ ხალხს თითქოს საფრთხე მოელოდა სხვა ხალხების მხრივ. ადენაუერი და ბლანკი ისე მოქმედებენ, როგორც ჰიტლერი მოქმედებდა. დასავლეთ გერმანიის მოსახლეობამ იცის, რომ საბჭოთა კავშირი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანელები არავის არ ემუქრებიან, არამედ, პირიქით, ყოველნაირად ცდილობენ აიხსნან კაცობრიობა ახალი ომის კატასტროფისაგან. საბჭოთა კავშირი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთან ერთად ისწრაფვიან ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისაკენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პარიზის ახლანდელ სესიაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიშინსკიმ შეიტანა კონკრეტული წინადადებანი განიარაღების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვისადმი კონტროლის დაწესების შესახებ, წინადადებანი კორეაში ომის დაუყოვნებლივ დამთავრების შესახებ. ყველა ეს წინადადება უარყვეს ომის ამერიკელმა გამჩაღებლებმა და მათმა სატელიტებმა.

საბჭოთა კავშირს განუწყვეტლივ შეაქვს თავისი წინადადებანი გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ყველა გერმანელის მასწრაფებას იმისადმი, რომ მოეწყოს ეროვნული კრების თავისუფალი არჩევნები და დაიდოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება და ამით ამტკიცებს, რომ იგი მთლიანად ცნობს გერმანელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას.

გერმანელი ხალხი საფრთხეს გრძნობს არა საბჭოთა კავშირის მხრივ, არამედ საერთაშორისო და გერმანელ ზარბაზნის მეფეთა და ომის გამჩაღებელთა მხრივ, რომელთაც სურთ ხელი შეუშალონ იმას, რომ გერმანელთა შორის ურთიერთგაგება დამყარდეს მშვიდობიანი გზით, რომელნიც აღრმავებენ გერმანიის გათიშვას და განზრახული აქვთ დაამყარონ დასავლეთ გერმანიაში ახალი სამხედრო დიქტატურა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამხედრო ბეგრის კანონი მომზადებულ იქნა გერმანელი ხალხის ზურგსუკან და ახლა ელემენტარული დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგ სურთ ბონის პარლამენტში გაიყვანონ ეს კანონი. აგრეთვე განზრახულია განხორციელდეს იმპერიალისტური ხროვის გეგმა—აიკრძალოს გერმანიის კომუნისტური პარტია.

„ყოველი დეპუტატი,—ნათქვამია განცხადებაში, — რომელიც პარლამენტში ხმას მისცემს სამხედრო ბეგრის კანონს, ყველაზე მძიმე დანაშაულს ჩაიდენს გერმანელი ხალხისა და მშვიდობის წინააღმდეგ.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა კიდევ უფრო ენერგიულად, ვიდრე ოდესმე წინათ, უარყოფს რემილიტარიზაციას, მით უფრო, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელისათვის ფართოდ არის გახსნილი გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზა. გერმანიის ყველა ნაწილში ყველა მშვიდობისმოყვარე, პატრიოტულად განწყობილი ადამიანი მოითხოვს მოწვეულ იქნას სრულიად გერმანიის თათბირი, რათა მთელ გერმანიაში მოეწყოს ეროვნული კრების თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უდიდესი ეროვნული დამსახურება ის არის, რომ მან აღმოფხვრა მთელ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების მოწყობას უკლებლივ ყველა დაბრკოლება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული და სახალხო პალატის მიერ ერთხმოვნად მოწონებული საარჩევნო კანონი, რომელიც ვაიმარის საარჩევნო კანონს ემყარება, შესაძლებელს ხდის დაუყოვნებლივ მოეწყოს სრულიად გერმანიის თათბირი და დამყარდეს ურთიერთგაგება.

გერმანიის ეს საარჩევნო კანონი შეიცავს თავისუფალი არჩევნების მოწყობისა და ხალხის ნების სრული პატივისცემის ყოველ გარანტიას. თუ ადენაუერი და ბლანკი ჩვენი ხალხის ყველა ეროვნული სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ წინადადების პასუხად იმუშავებენ იძულებითი სამხედრო ბეგრის კანონს, ყოველი გერმანელისათვის სავსებით ნათელი ხდება, რომ მათ სურთ არა მშვიდობა, არა ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანება, არამედ ომი და ახალი საშინელი კატასტროფა ჩვენი ხალხისათვის.

ამ მძიმე საბედისწერო დღეებში შუმახერის, ოლენჰაუერისა და ფეტეს ტიპის სოციალ-დემოკრატი ლიდერები და იმპერიალისტთა ისეთი დაქირავებული აგენტები, როგორიც არის ფონ ჰოფი, ნათლად გასაგებს ხდიან, რომ წარსულში რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, შუმანის გეგმის წინააღმდეგ, სამხედრო ბეგრის შემოღების წინააღმდეგ მთელი თავიანთი ლაყბობით მათ მხოლოდ სურდათ მოეტყუებინათ ჩვენი ხალხი. ნამდვილად ისინი აფერხებდნენ და აფერხებენ იმას, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხმა, მუშათა კლასმა წინააღმდეგობა გაუწიოს რემილიტარიზაციის განხორციელებას და ამ რემილიტარიზაციის ყველა პოლიტიკურ და სოციალურ შედეგს.

ზარბაზნის საერთაშორისო მეფეებსა და ომის გამჩაღებლებს—კრუპს, პფერდმენგეს, რაიშსა და რელენს ჯერ არასოდეს არა ჰყოლიათ ისეთი ერთგული დამცველები, როგორიც არიან პროფკავშირთა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახლანდელი მემარჯვენე ლიდერები. ყოველმა პატიოსანმა სოციალ-დემოკრატმა და პროფკავშირის წევრმა უნდა შეიგნოს ეს, სანამ გვიან არ არის“.

„თუ ადენაუერის ბეჭდვითი სიტყვის სამსახური ზეიმობს იმის გამო, რომ პროფკავშირების ლიდერები იწონებენ შუმანის გეგმას და სამხედრო ბეგრის კანონს, და მიესალმება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და პროფკავშირების მემარჯვენე ლიდერთა „რეალისტურ გეზს“,—ნათქვამია შემდეგ განცხადებაში,—მისი სიხარული მეტად ნაადრევია. პროფკავშირების წევრებსა და სოციალ-დემოკრატებს გულწრფელად სურთ დემოკრატიული გერმანიის მშვიდობა და ერთიანობა. ისინი შუმანის გეგმის წინააღმდეგი, სამხედრო ბეგრის კანონის წინააღმდეგი, „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგი არიან. ისინი გერმანიის კომპარტიის აკრძალვის წინააღმდეგი არიან. ისინი მოითხოვენ სრულიად გერმანიის თათბირს თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად. ისინი სულ უფრო ენერგიულად იბრძვიან მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის დამყარებისათვის და კომუნისტებთან და ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელთან ერთობლივი ბრძოლით ხელს შეუშლიან იმას, რომ გერმანიის ტერიტორიაზე განხორციელდეს შუმანის გეგმა—ზარბაზნის მეფეთა გეგმა, სამხედრო ბეგრისა და „საერთო ხელშეკრულების“ კანონი.

გერმანიის კომუნისტური პარტია მოუწოდებს დასავლეთ გერმანიის ყველა მუშას, ყველა სოციალ-დემოკრატს, ქრისტიან დემოკრატთა კავშირის წევრებს და უპარტიოებს, ყველა გერმანელ მოქმედების ერთიანობისაკენ, მოუწოდებს მათ მშვიდობისათვის, ერთიანობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლისაკენ.

# თბილისის პირველობა ჭადრაკში

## მესამე ტური

მესამე ტურში, რომელიც 24 იანვარს შედგა, ვ. ალამალიან—ა. ებრალიძის პარტიაში მწვავე პოზიციური ბრძოლა გაჩაღდა. შუა თამაშში ვ. ალამალიანმა ინიციატივის მიღების მიზნით შესწირა პაიკი. პარტია გადადებულია რთულ მდგომარეობაში.

გ. თაბორიძემ ა. ჯაკობიასთან ექტიურად გაითამაშა სიცილიური პარტია. მოხერხებულ მომენტში პაიკის შეწირვით მან ძლიერი იერიში განავითარა და 28-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

ო. ელიოზიშვილმა ოსტატურად გამოიყენა ა. დავრანიანის მიერ დებიუტში დაშვებული შეცდომა და მე-19 სვლაზე მოიგო პარტია.

ო. წოწოლაშვილმა და ა. ბუსლაევმა გაითამაშეს სიცილიურ პარტიაში გროსმაისტერ ი. ბოლესლავსკის პოპულარული ვარიანტი. როცა დაფაზე საინტერესო სტრატეგიული სიტუაცია შეიქმნა, მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ მძიმე ცაიტნოტში, ბოლოს ბუსლაევმა შეცდომა დაუშვა და წააგო ხარისხი (ეტლი კუში). პარტია გადაიდო.

ნ. ტიმოფეევმა მძიმე მდგომარეობაში იერიშის მიღების იმედით ი. კლიაცკინს ფიგურა შესწირა. უკანასკნელმა ვერ მოახერხა მეფის პოზიციის გამაგრება და დამარცხდა.

ა. ბლაგიძე—ვ. ტუგარინოვის შეხვედრაში ლაზიერის გამბიტის ძველებური ვარიანტი გათამაშდა. პარტია სწრაფად განვითარდა და როდესაც დაფაზე ცოტა ფიგურა დარჩა, მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გ. გამრეკელ—გ. გაჩეჩილაძისა და არნშტეინ—ვეიზერის პარტიები არ შემდგარა.

# ნინო ნაკაშიძის შემოქმედებითი საღამო

ორშაბათს, 28 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში გაიმართება ნინო ნაკაშიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის ალ. აბაშელი. მოხსენებას ნინო ნაკაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს ი. გრიშაშვილი. სიტყვებსა და ლექსებს წარმოთქვამენ მწერლები: გ. ლეონიძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ა. ხახუტაშვილი, მარიჯანი, მაყვალა მრევლიშვილი, რ. ქორქია, მ. გარიყული, გ. კაჭახიძე, ა. კალანდაძე, მ. ლებანიძე. დასასრულ მოეწყობა ნ. ნაკაშიძის მოთხრობების მხატვრული კითხვა.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

# კეცხოველის სახელობის საქალაქო პარკკაბინეტში

28 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შედგება ამხ. ქ. სულეიმანის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 25-I მოწინავე — კომუნიზმის დიადი სტალინური მშენებლობანი.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში — საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ბრაზილიელ მწერალ ჟორჟე ამადუს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მეორე გვერდი — თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

ლ. პირადოვი — ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა (კინო-რეცენზია).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მესამე გვერდი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია.

აღმოსავლეთის ქვეყნებში — ტ. რამიშვილი — ქაშმირის საკითხი.

მეოთხე გვერდი — დღიური — ნ. რუბეჟნი — მოულოდნელი ნოტა.

უცხოეთის ინფორმაციები.

სადღეისო თემაზე — საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში. ნატურალისტის ჩანაწერი — შუა ზამთარში. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
**ი. ნატროშვილი**

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**28 იანვარს**

6.25 — სიმღერები მოსკოვზე 7.30 — დონკევიჩის ანდანტე და სკერცო სიმებიანი კვარტეტისათვის. 11.10 — კონცერტი იპოლიტოვ-ივანოვის ნაწარმოებებიდან. 17.15 — რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.30 — შოპენის სონატა სი-მინორი. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.30 — რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 20.45 — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მერი ნაკაშიძის კონცერტი. 21.00 — საუბარი: „სოციალისტური საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია“. 21.20 — კამერული მუსიკის კონცერტი. 22.45 — ნაწყვეტი გოგოლის მოთხრობიდან: „ამბავი იმისა თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“. 23.05 — ქართული ხალხური სიმღერები საქართველოს რადიოკომიტეტის ანსამბლის შესრულებით. 00.05 — ვალსები.

მოქალაქე **სიმონ მარკოზის-ძე დაშევსკიმ,** მცხოვრებმა ახუნდოვის შესახ № 4, აღძრა საქმე პანასევიჩის ქ. № 33 მცხოვრებ მოქალაქე **სუსანა ამაიაკის ასულ აგაბეგოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

# დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — სინათლე (დილას), ლატავრა (საღამოს, მე-8 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — პეპო (დილას და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — რომეო და ჯულიეტა (დილას), რევიზორი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება (დილას), ქვა-მბრძანებელი (საღამოს, 60-ე, 61-ე აბ.); **სომხური დრამის** — საიათ-ნოვა (დილას და საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — საჩუქარი (დილას და საღამოს, მე-5 აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სიჯაბუკე ბელადისა (დილას, 12 ს. მე-25 აბ.), უცვარი სიმდიდრე (საღამოს, 6 ს. 28 აბ.). **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ვასტელი (დილას 10 ს. და 2 ს 30 წ.), ვერაგობა და სიყვარული (საღამოს 8 ს.); **ფილარმონია** — სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი), ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით (ზამთრის დარბაზი); **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

მოქალაქე **ხამსონ მელიქსეთის-ძე მელიქოვმა,** მცხოვრებმა იაროსლავსკის ქ. № 4, აღძრა საქმე არსენას ქ. № 29 მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ილიას ასულ ნიბლაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები მედეა, დოდო აბაშიძეები, და თამარ, ძმა ხუტა, რძალი მარგო გოგოლაშვილები, სიძე სპარტაკ გოგიშვილი იუწყებიან **მერი სერგოს ასულ გოგოლაშვილი-აბაშიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-I, 2 ს. ცხაკაიას, 11.

მეუღლე მატრონა, შვილები საშურა, ლამარა, ნათელა, სიძეები შ. ერისთავი, მ. მურღულია, შვილიშვილები დალი, მანანა, რუსუდან იუწყებიან **თეოფილე სიმონის-ძე შენგელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-I, 8 ს. გამოსვენება 29-I, 5 ს. ახოსპირელის, 4.

ძმები გრიგოლ, დიმიტრი, ალექსანდრე, რძლები ეკატერინე, გალინა, სონია, ძმისწულები თინათინ, რუსუდან, ლეილა, ოთარ, თეიმურაზ, გურამ, რძალი ნინო, სიძე ნ. კისლოვი იუწყებიან **ლიდა გორდელაძე-ორჯონიკიძის** გარდაცვალებას.

მშობლები თამარ ანთაძე და გრიშა გაბელაია შვილებით გივით და დარეჯანით იუწყებიან, რომ 27-I, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **პატარა გურამ გაბელაიას** პანაშვიდი.

მეუღლე კონსტანტინე, შვილი გრიშა, რძალი ქენია, შვილიშვილი ნანა წულუკიძეები იუწყებიან **ანა სიმონის ასულ წულუკიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-I, 5 ს. ქუთაისში, გამოსვენება ლერმონტოვის, 22.

შვილები გაბრიელ, თამარ, ქეთო, პეტრე, შოთა, რძლები არუსია, ლიზა, ანია, შვილიშვილები ნელი, ივერი, ნური, ირაკლი, ქეთო, თამარ იუწყებიან **პოპინე თედორეს ასულ ხომასურიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-I, 4 ს. ატენის, 17.

მეუღლე რუსუდან, შვილები ვახტანგ და შალვა, რძლები ქეთევანი და მარგარიტა, შვილიშვილები მარინე, დარეჯან, რუსუდან იუწყებიან **გიგო სამსონის-ძე ჭილაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-I, 7 ს. გამოსვენება 29-I, 4½ ს. საბჭოს, 7.

მეუღლე ვაშა ორჯონიკიძე, შვილი მერი, სიძე ლადო დგებუაძე, შვილიშვილები მანანა, თამარ იუწყებიან **ლიდა ყაისარის ასულ გორდელაძე-ორჯონიკიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-I, 8 ს. გამოსვენება 29-I, 4 ს. ორჯონიკიძის, 40.

შვილები გიორგი, მარიამ ედილაშვილები, რძალი ბაბულია გვეტაძე, შვილიშვილები ქართლოსი, გურამ, რომან, ომარ ედილაშვილები იუწყებიან **სოფიო გიორგის ასულ ედილაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-I, 7 ს. გამოსვენება 29-I, 4 ს. ინგიროს, 7.

შვილები რაფიელ, ალიოშა, მაშურა, ოლია ქორჩილავები, რძლები შურა ჩხაიძე, მარო გაბუნია, მარო გაგოშიძე, მარო აფაქიძე და შვილიშვილები იუწყებიან **ბესარიონ ქაქუჩიას-ძე ქორჩილავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-I, 7½ ს. გამოსვენება 27-I, 3 ს. გორის, 21.

მეუღლე ლიზა, შვილები ნორა, ვალია, მიშა, რძალი მანია, შვილიშვილი ომარ, ძმები ტარასი, სიმონ შუშელიძეები ოჯახებით, და თამარ ჯინჭარაძე, სიძეები შ. ხუნდაძე, ს. ჩიჯოგიძე იუწყებიან **დავით სოლომონის-ძე შუშელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 29, 30-I, 8 ს. გამოსვენება 31-I, 3 ს. საბჭოს, 265.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3 73-24, მორიგისა და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00121